ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 11 აგვისტო, 2020 №169 (8433) ფასი: 60 თეთრი

გახდება თუ არა ოქრუაშვილი ოპოზიციის კანდიდატი საბურთალოზე

„ევროპული საქართველოს“ ამოცანა არჩევნებში გამარჯვება არ არის“

ლევან ხაბეიშვილი: „ოცნების“ ხელისუფლება რომ დასრულებულია, ამაში ეჭვი არ მეპარება“

„ქაოსისა და არეულობის წყარო პირადად ივანიშვილია“

გია ბარამიძე: „მაფიოზ ენზელ მკოიანის ქმედებები ახალქალაქში დესტაბილიზაციას უწყობს ხელს“

„ოცნების“ საარჩევნო სიაში რამდენიმე მინისტრიც იქნება

ვახტანგ ძაბირაძე: „წინასაარჩევნოდ სამთავრობო ცვლილებები მოსალოდნელი არის“

ვინ ემუქრება ენზელ მკოიანს

„ეი, ოლიგარქ, 5 მილიონი დოლარი უნდა გადაგვიხადო!“

„ლიახვის ხეობაში ჩეჩნები რუსებს ქართველების სახლების დაწვას უკრძალავდნენ“

გიგლა ბარამიძე: „ოპოზიციის დაშლა-მოშლაზე ყურადღება გადააქვს „ქართულ ოცნებას“

„ხალხი რომ შიმშილობს, ეს ხელისუფლებას არჩევნების წინ არ უნდა ახსენდებოდეს“

მაღალი ეპიდემიოლოგიური რისკის გამო იზღუდება შესვლა-გამოსვლა მესტიის მუნიციპალიტეტში

ზურაბ ჯაფარიძე: „ყველა ანგარიშზე ყადაღა დამადეს“

ISSN 1987-9385

2 კახა ოქრიაშვილმა ცეზარ და ლაშა ჩოჩელებთან ერთად პარტია შექმნა

4 კალაძე: „სააკაშვილისგან ბევრ სისულელეს ვისმენთ“

5 მიხეილ რამიშვილი: „ძალიან ორგანიზებულად არის დანაშაული ჩადენილი“

6 „ლუკაშენკო, წადი!“ საპრეზიდენტო არჩევნები ბელარუსში მიტინგების თანხლებით ჩატარდა

„ქაოსისა და არეულობის წყარო პირადად ივანიშვილია“

გია ბარამიძე: „მაფიოზ ენზელ მკოიანის ქმედებები ახალქალაქში დესტაბილიზაციას უწყობს ხელს“

იაგო ნაცვლიშვილი

შაბათს უმძიმესი კადრები ნახა ქართველმა ხალხმა, როდესაც ახალქალაქში ადგილობრივი მოსახლეობა ერთმანეთს დაუპირისპირდა. ახალგაზრდა მამაკაცის მოკვლას დაპირისპირება მოჰყვა. ამბოხებულებმა გადაწვეს სახლები. გავრცელებული ინფორმაციით, იქვე იყო პოლიცია, თუმცა, სანამ ვითარება არ გამწვავდა, მანამ არ ჩაერია, რამაც ბევრი კითხვა გააჩინა.

რას ნიშნავს ეს ყველაფერი, ხომ არ დგება შინაგან საქმეთა მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი და ხომ არ არის სეპარატიზმის რისკიც? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი **გია ბარამიძე** საუბრობს:

– საკმაოდ მძიმე ვითარება ვნახეთ ახალქალაქში შაბათს. რაზე მიანიშნებს ეს და რა ხდება ქვეყანაში?

– ეს მიანიშნებს იმაზე, რაზეც ამდენი ხანია ვლაპარაკობთ, რომ განუკითხაობაა და მოიშალა სახელმწიფო ინსტიტუტები და რომ პოლიციის ავტორიტეტი და ქმედუნარიანობა მკვეთრად დაცემულია, რადგანაც ცენტრალურ დონეზე ხელისუფლებამ მოახდინა კრიმინალთან შეთანხმება და ეს ასე ტალღისებურად გადაეცემა მთელ ქვეყანას. მით უმეტეს, ისეთ რეგიონში, სადაც განუკითხაობის ხარისხი ათჯერ უფრო მაღალია.

ვსაუბრობ ჯავახეთზე, რადგანაც „ქართულ ოცნებას“ აქ დეპუტატად ჰყავს ყველა პარტია გამოვლილი ადგილობრივი მაფიოზი, რომელიც ამ წლებში თავხედურად მოქმედებს. ის არ ერიდება ადამიანების ასე ღიად ცემას. როგორც თავად, ისე მისი გარემოცვა ადამიანებს თავ-პირს ამტვრევს. ყველას, ვინც მას არ მოსწონს და პირდაპირ იარაღის სროლას იწყებს მისი ოპონენტების მიმართ. ეს ჩვენ ვიხილეთ ცოტა ხნის წინ და ამის კადრები არსებობს, რაც არაერთ ტელევიზიას აქვს გავრცელებული. ჩანს, როგორ ისვრის ეს ბანდიტი ენზელ მკოიანი იარაღს დამიზნებით. არა თავის დაცვის მიზნით ან იმით, რომ გაერიდოს კონფლიქტს, არამედ ვხედავთ, როგორ მიდის მსხვერპლისკენ და დამიზნებით ესვრის მას.

– ეს გახდა მაპროვოცირებელი, რომ რეგიონში ასეთ შედეგამდე მისულიყო საქმე?

– ეს იყო ერთ-ერთი ფაქტორი, როდესაც ენზელ მკოიანი ასე ხელით იცილებს პოლიციელს და პოლიციელი უუნაროა, რომ რამე გააკეთოს უშუალოდ დანაშაულის აღკვეთის თვალსაზრისით. ვერაფერს ვერ აკეთებს, რადგან უუფლებოა. არიან ადამიანები, რომლებიც კანონსა და პოლიციაზე მაღლა დგანან.

როდესაც ასეთი ატმოსფეროა, ბუნებრივია, საზოგადოება და ახალგაზრდები უყურებენ ამას და სხვა ხალხი უყურებს ამას. მათ მიაჩნიათ, რომ მათაც შეუძლიათ ეს გააკეთონ. ეს განუკითხაობაა და კანონი აღარ კანონობს. იქმნება ქაოსი, რაც აწყობს საქართველოს მტერს. ქაოსი, არეულობა და კრიმინალის თარეში აწყობს მტერს.

– როგორც ინფორმაცია გავრცელდა, იქ იყო პოლიცია და არ ჩაერია თავის დროზე. პოლიცია რატომ ვერ დადგა სათანადო სიმაღლეზე? რაზე მიანიშნებს ეს?

– იმაზე, რასაც გელაპარაკებით ზუსტად იმაზე მიანიშნებს პირდაპირ.

– საუბრობთ კრიმინალისა და ხელისუფლების ერთმანეთთან შეზრდაზე. ეს ძალიან სახიფათო ხომ არ არის სახელმწიფოებრიობისათვის? მით უმეტეს, ისეთ მოწყვლად რეგიონში, როგორიც სამცხე-ჯავახეთია. ხომ არ ჩნდება რისკი, რომ სეპარატიზმშიც კი გადაიზარდოს ასეთი ქმედებები?

– როდესაც ქვეყანაში ქაოსია და როდესაც კრიმინალთან შეზრდილია ხელისუფლება, როდესაც პოლიცია უუფლებოა და მას თავში ურტყამენ, ან საერთოდ არავინ არ არის განმკითხავი, ბუნებრივია, ასეთი რისკი ჩნდება. მაგიტომ ვახსენე მე, რომ სახიფათოა განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთში, სადაც ყველა პარტია გამოვლილი მაფიოზი ენზელ მკოიანი და მისი ბანდა თარეშობს.

ბუნებრივია, როდესაც სახელმწიფოებრიობის ნიშნები მოშლილია და ქაოსია, ამით შესაძლოა ისარგებლოს საქართველოს მტერმა, რათა გააღვივოს ის დესტრუქციული ძალები და სენტიმენტები, რამაც შესაძლოა ზიანი მოუტანოს ჩვენს ქვეყანას.

ჩვენი მტრისთვის სულ ერთია, რა ემოციებზე იმუშავებს და რას გამოიყენებს. ნებისმიერ საზოგადოებაში არის ესა თუ ის პრობლემა თუ თემა, რაც ჯერ კიდევ გადაუჭრელია. რუსეთის ძალიან ცნობილი მეთოდია „დაყავი და იბატონეს“ პრინციპი. ამით ქმნიან პრობლემას და შუღლს აღვივებენ. რუსეთის ამოცანა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღიდან ამ დამოუკიდებლობის მოსპობაა ქართული სახელმწიფოს დასუსტების გზით. ეს მეთოდები სხვადასხვაგვარია. რა მეთოდს გამოიყენებს ამა თუ იმ რეგიონში თუ მთლიანად ქვეყანაში, ეს მისი სტრატეგიაა და ის იყენებს სხვადასხვა მეთოდებს მუდმივად. იქნება ეს ეკონომიკური მეთოდი, კრიმინალი, კორუფციის ხელშეწყობა, ზოგადი დესტაბილიზაცია, ენერგეტიკული პრობლემები თუ სეპარატიზმის გაღვივება და დაპირისპირება მოსახლეობის ერთი ჯგუფებისა სხვა ჯგუფებთან თუ ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

– ანუ, ამ პროცესში რუსეთის კვალს უკვე ხედავთ?

– რუსეთი მუდმივად მონაწილეობს ამ პროცესებში. არავის ეგონოს, რომ რუსეთმა შეწყვიტა საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ბრძოლა.

ახლახან გამოქვეყნდა დიდი ბრიტანეთის პარლამენტის სპეციალური კომისიის მოხსენება, სადაც დადასტურებულად საუბრობენ, რომ რუსეთი ბრიტანეთის შიდა საქმეებში ჩაერია და ბრექსითის ბედზე ზეგავლენას ახდენდა. ისევე, როგორც შოტლანდიის რეფერენდუმში ჩაერია, ისევე, როგორც ესპანეთის არაერთი მოხსენება გვაქვს, როგორ ერეოდა რუსეთი კატალონიაში სეპარატიზმის გაღვივებაში. ისევე, როგორც საფრანგეთის და გერმანიის ოფიციალური პირებს აქვთ ნათქვამი რუსეთის ჩარევაზე და აგერ, ამერიკაში უსაფრთხოების სტრუქტურების მიერ ოფიციალურად არის დადასტურებული, რომ არჩევნებში და სხვადასხვა პროცესებში ერეოდა. მათ შორის, მოქალაქეებს შორის კონფლიქტის გაღვივებაში, მათ შორის, პოლიციასთან დაპირისპირებაში. თქვენ წარმოიდგინეთ, რა დოზით და რა მასშტაბებს იძენს საქართველოში.

ამაზე ვლაპარაკობდით ზუსტად ამ წლებში, რომ ამ ვითარებაში ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომლის დროსაც უშიშროების სამსახურებს ერთი რუსი ჯაშუშის გაუვნებელყოფა არ მოუხდენია.

– ამ ფონზე, რაც ხდება ქვეყანაში ბოლო წლებში, როგორც მინიმუმ, შინაგან საქმეთა მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება?

– ეგ სასაცილო იქნება, რომ შინაგან საქმეთა მინისტრზე ვილაპარაკოთ. ის არის ივანიშვილის ჩვეულებრივი ხელის ბიჭი. ისევე, როგორც პრემიერ-მინისტრი, უშიშროების სამსახურის უფროსი, სასამართლო ხელისუფლება, პარლამენტი თუ ა. შ. ამიტომ, დღეს, როდესაც სამ თვეზე ნაკლები რჩება არჩევნებამდე, ჩვენი მთელი ძალისხმევა მიმართულია არჩევნების გზით, მშვიდობიანად ხელისუფლების შეცვლაზე, რომელიც არის მადესტაბილიზებელი და მავნებელი რეჟიმის შეცვლაზე. ეს წერია ამერიკის კონგრესმენების წერილში, რომ რუსეთის კაცია. 147 კონგრესმენის მიერ მოხსენიებულ დოკუმენტში წერია. ჩემი აზრით კი, ეს რეჟიმი ამავე დროს მოღალატეცაა.

აქედან გამომდინარე არასერიოზული იქნება დღეს შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომაზე რომ ვილაპარაკოთ. ცხრაჯერ გადასადგომია ეს მინისტრიც, პრემიერ-მინისტრიც, უშიშროების ხელმძღვანელიც და, რაც მთავარია, ივანიშვილი. ამ ქაოსის წყარო პიროვნულად არის არა შს მინისტრი, არამედ ივანიშვილი, რომლის პოლიტიკასაც ახორციელებენ. ამიტომ „ოცნება“ უნდა წავიდეს ხელისუფლებიდან მშვიდობიანად და ხალხის არჩევანის მოპარვა არ გაბედოს.

გახდება თუ არა ოქრუაშვილი ოპოზიციის კანდიდატი საბურთალოზე

ზურა (გირჩი) ჯაფარიძის განცხადებით, თბილისში საბურთალოზე, ოპოზიციის საერთო მაჟორიტარობის კანდიდატად ერთ-ერთ ვერსიად განიხილება ირაკლი ოქრუაშვილის კანდიდატურა.

ზურაბ ჯაფარიძემ განცხადება ტვ „პირველის“ ეთერში გააკეთა.

„ახალ თაობასთან“ ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა:

– მივიღე წინადადება ოპოზიციის ლიდერებისგან კენჭი ვიყარო საბურთალოს ოლქში საერთო კანდიდატად და ვითხოვე დრო გადაწყვეტილების მისაღებად. გადაწყვეტილებას კი კონსულტაციების შედეგად მივიღებ.

გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

ზურაბ ჯაფარიძე: „ყველა ანგარიშზე ყადაღა დამადეს“

აღსრულების ეროვნულმა ბიურომ „გირჩის“ ლიდერის ანგარიშებს, ძველი ჯარიმების გადაუხდელობის გამო, ყადაღა დაადო.

პარტიის ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე ფაქტს იმას უკავშირებს, რომ ის დიდუბე-ჩუღურეთის მაჟორიტარობის კანდიდატად დასახელდა.

მისი შეფასებით, „ქართული ოცნება“ ამ გზით მისთვის ფინანსური პრობლემების შექმნას ცდილობს.

– მაქვს რამდენიმე ჯარიმა, მათ შორის 2.000 და 3.000-ლარიანი. არის ისეთი ჯარიმებიც, რომელიც ორი წლის წინ დამაკისრეს. აქამდე სახელმწიფოს არ გახსენებია, რომ მოეკითხა ამ ჯარიმებისთვის და აღსრულება დაეწყო, ამიტომ გასაგებია, რომ ეს არ არის დამთხვევა.

ეს ყველაფერი დაკავშირებულია იმასთან, რომ დღეს დილით განცხადება გავავრცელე და დავასახელე საკუთარი თავი დიდუბე-ჩუღურეთის მაჟორიტარობის კანდიდატად. ასევე მაქვს შანსი, რომ ვიყო ერთიანი ოპოზიციური კანდიდატიც.

ამ ყველაფერს პირდაპირ ვუკავშირებ ამ ამბავს იმიტომ, რომ მეტი ფანტაზია „ქართულ ოცნებას“ არ აქვს და პირველი, რაც მოიფიქრეს არის ის, რომ ფინანსური პრობლემები შემიქმნან, ამიტომ ყადაღა დამადეს ყველა ანგარიშზე, – განაცხადა ზურაბ ჯაფარიძემ.

კახა ოქრიაშვილმა ცეზარ და ლაშა ჩოჩელებთან ერთად პარტია შექმნა

„ქართული ოცნების“ მოქმედმა მაჟორიტარმა დეპუტატმა, კახა ოქრიაშვილმა, ბიზნესმენ ძმებ, ცეზარ და ლაშა ჩოჩელებთან ერთად პარტია დააფუძნა. ამის შესახებ ინფორმაცია მან საკუთარ ფეისბუქ გვერდზე გაავრცელა.

პოლიტიკურ სივრცეში ახალი პარტია – „პროგრესი და თავისუფლება“ შეიქმნა. პარტია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ უკვე დარეგისტრირდა საარჩევნო სუბიექტად, – წერია პოსტში.

კახა ოქრიაშვილი ერთ-ერთია იმ მაჟორიტარ დეპუტატებს შორის, რომლებიც საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარს არ უჭერდნენ. ის 2020 წლის არჩევნებში პარტიის მაჟორიტარობის სიაში ვერ მოხვდა.

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ სამდივნოს გადაწყვეტილებით, დმანისის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი ტატუაშვილი, რომელიც ამავე დროს იკავებს დმანისის მერის თანამდებობას, პარტიის რიგებიდან იქნა გარიცხული. ამის შესახებ ნათქვამია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ განცხადებაში.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, გარიცხვის მიზეზი გახდა პარტიული დისციპლინის უხეში დარღვევა, რაც გამოიხატა მის მიერ „ქართული ოცნების“ კონკურენტი კანდიდატის საარჩევნო კამპანიის მხარდაჭერაში.

ტატუაშვილმა საკუთარ ფეისბუქზე კახა ოქრიაშვილის ის პოსტი გააზიარა, რომლითაც მან საზოგადოებას პარტია „პროგრესი და თავისუფლების“ შექმნა ამცნო.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ევროპული საქართველოს“ ამოცანა არჩევნებში გამარჯვება არ არის“

ლევან ხაბეიშვილი: „ოცნების“ ხელისუფლება რომ დასრულებულია, ამაში ეჭვი არ მეპარება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ლევან ხაბეიშვილი პასუხობს.

– ლევან, აქტიურად დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია. ოპოზიცია კი ჯერჯერობით ვერ დალაგდა. საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, რომ ოპოზიცია საგრძნობლად დააზარალა იმან, რომ არ იყო ერთობა. ხელისუფლება უფრო მომგებიან სიტუაციაში ხომ არ აღმოჩნდება. ვის რა შანსები აქვს?

– მას შემდეგ, რაც თითქმის 80%-ით პროპორციულთან მიახლოებულ არჩევნებს ვატარებთ, მე არ მიმაჩნია, რომ მაინცდამაინც მნიშვნელოვანი ყოფილიყო კანდიდატებზე შეთანხმება. პარლამენტში ყველა პატარა პარტიის წარმომადგენელმა უნდა შეძლოს მოხვედრა, არავინ არ უნდა შევზღუდოთ. ამომრჩეველმა საკუთარი გემოვნების მიხედვით მისცეს ხმა. იგივე მაჟორიტარი კანდიდატებიც ყველას ჰყავდეს რეგიონებში, იყოს კონკურენცია. ჩვენ თუ ვიტყოდით, რომ უნდა შევთანხმდეთ საერთო კანდიდატებზე, მაშინ ნაციონალური მოძრაობა და კიდევ რამდენიმე დიდი პარტია, გადაყლაპავდა პატარა პარტიის წარმომადგენლებს. ასე მეტი შანსი აქვთ, რომ პარლამენტში შევიდნენ.

– თუმცა თბილისში ასე თუ ისე შეთანხმდით...

– სადაც იყო შეთანხმება მნიშვნელოვანი, დედაქალაქში, იქ ჩვენმა პოლიტიკურმა გაერთიანებამაც და სხვებმაც, დათმეს ამბიციები და ყველა წავედით დათმობაზე. ქვეყნის საკეთილდღეოდ ვთქვით, რომ თბილისში შეთანმხება მნიშვნელოვანია და მოდი, შევთანხმდეთ.

– თუმცა ეს შეთანხმება სრულად ვერ მოხერხდა.

– რვიდან ექვსზე შევთანხმდით. ოპოზიციაში მაინც მიდის კოორდინაცია. ყველამ საქმეს უნდა მივხედოთ. ახლა მანდატების და ოლქების გადანაწილებაზე დავა ყველაზე უხერხულია. ეს მოსახლეობას ნაკლებად ადარდებს. მნიშვნელოვანია, რომ გადავიდეთ შემდეგ ეტაპზე.

– რა არის შემდეგი ეტაპი?

– ვუთხრათ მოსახლეობას, თუ რას ვთავაზობთ ბიძინა ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ დამარცხების შემდეგ.

– იმის თქმა გინდათ, რომ ოპოზიციას შეცდომები არ დაუშვია?

– დიახ, რადგან რეგიონებში გაერთიანებული კანდიდატების დასახელება გამოიწვევდა პატარ-პატარა პარტიების ხმების დაკარგვას. ჩვენ თუ ვამბობთ, რომ მრავალპარტიული პარლამენტი გვინდა და ადამიანების ხმები არ უნდა დაიკარგოს, მაშინ ეს პრინციპი სწორია. მთავარია, ჩვენ ხაზი არ გადავკვეთოთ, ვიღაცას

მტერი არ შეეშალოს და ოპოზიციის მხარეს არ დაიწყოს ქვების სროლა. ჩვენი მთავარი მტერი არის ბიძინა ივანიშვილი, ყველა პოლიტიკურმა პარტიამ თავად იმუშაოს მხარდამჭერებზე.

– გახვალთ ცალ-ცალკე და პარლამენტის შიგნით გაერთიანდებით?

– რა თქმა უნდა! მაგალითად, გირჩს რატომ უნდა ვუთხრათ, რომ მან საკუთარი კანდიდატები არ დააყენოს და სადაც შეუძლია 1,5-2%-ის აღება, ისიც ვერ აიღოს. ეს რატომ უნდა გავაკეთოთ?! ამით პატარა პარტიებს ვზღუდავთ, თორემ დიდი პარტიებისთვის საუკეთესო საშუალებაა. სადაც არ უნდა გაგვეზომა, სულ რომ გამოკითხვა ჩაგვეტარებინა, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი ხომ ყველგან აჯობებდა დანარჩენი ოპოზიციური პარტიების კანდიდატს?!

– დასავლეთ საქართველოში „ევროპული საქართველო“ გაუწევს ნაცმოძრაობას კონკურენციას და მის ხმებს წაიღებს. ამაზე რას იტყვით?

– აქაც ცალსახაა, ხომ? „ევროპული საქართველოს“ ამოცანა არ არის გამარჯვება. მისი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი პროცენტი აიღოს, რომ მერე მეტი პირით იყოს კოალიციაში წარმოდგენილი. გამარჯვებისთვის იბრძვის მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა. მხოლოდ მას სურს, რომ „ოცნებას“ მოუგოს. ჩვენ არავის არ ვებრძვით, ყველამ თავის გზით იაროს, ვისაც რა პრეტენზია გვაქვს, ბატონებო, იმით შევიდეთ პარლამენტში და შემდეგ იქ გადავწყვიტოთ, რა და როგორ!

– გია ბარამიძის განცხადებამ დააბნია საზოგადოება და დააზარალა ნაციონალური მოძრაობა. ან სააკაშვილი, ან ივანიშვილიო. ეს რამდენად სწორი გათვლაა? ვისაც არც ერთი უნდა, იმ ამომრჩეველს არ უტოვებთ არჩევანის საშუალებას?

– დიახ, მე მესმის თქვენი კითხვის არსი. ბევრი გემოვნების ამომრჩეველია, ვიღაცას მიშა არ მოსწონს, ვიღაცას ბიძინა. ვიღაცას თავის ფავორიტი ჰყავს, ეს აბსოლუტურად ნორმალური, ლეგიტიმური და სწორია. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ გია ბარამიძის განცხადებაში ძალიან პრაგმატულად იყო საკითხი დასმული.

– რას გულისხმობთ?

– ორი დიდი პარტიაა, ხელისუფლება და ოპოზიციაში ჩვენ, ვისაც, მაგალითად, 30%-ზე მეტი ხმების მობილიზება შეუძლია. ეს ხომ წინა არჩევნებმაც აჩვენა და რაზე უნდა ვიდავოთ?! მეტი

პოლიტიკური პარტია, ვისაც 30%-ზე მეტის აღება შეუძლია, ფიზიკურად არ არის დღეს საქართველოში. ამიტომაც ძალიან პრაგმატულად თქვა გია ბარამიძემ. საქმეს მივხედოთ. 2020-ის არჩევნების შემდეგ სერიოზული სამუშაო გველოდება. ეკონომიკა ჭაობიდანაა ამოსაყვანი და კრიმინალი – დასამარცხებელი.

– გაექცა კრიმინოგენური ვითარება ხელისუფლებას? ამ ფონზე რამდენად აქვს შანსი, წარმატებას მიაღწიოს?

– „ქართული ოცნება“ წარმატებას ვეღარ მიაღწევს! მათი ხელისუფლება რომ დასრულებულია, ამაში ეჭვი არ მეპარება. პირდაპირ და ღიად ეუბნებიან ივანიშვილს, რომ არის რუსი ოლიგარქი. ადრე რუსეთის მოკავშირეს უწოდებდნენ და ახლა პირდაპირ რუსი ოლიგარქი უწოდეს. ჯერ ისტორიაში რომ არ მომხდარა, ისეთი სანქცია დაადეს ჩვენს დახმარებას.

ამას „ოცნების“ შიგნითაც ყველა ხედავს, რიგითი დეპუტატები, მათი აქტივისტები, მხარდამჭერები. მათ სერიოზული პრობლემები აქვთ, მათ შორის, კანდიდატებთან დაკავშირებით. ნორმალური ადამიანის „ოცნების“ მხარეს არ დაიჭერს. ეს გამორიცხულია. დღეს ქვეყანაში არის რუსული მმართველობა და ყველაფერი ამაზე მეტყველებს. ბევრს რომ არ გავყვეთ, არც ერთი რუსი ჯაშუში არ არის დაკავებული ამ 8 წლის განმავლობაში. რანაირად დააკავებენ, როცა მთავარი ჯაშუში შუშის კოლბაშია და ქვეყანას თავზე აზის.

– კორონავირუსის ფონზე ხელისუფლება მაინც მომგებიან სიტუაციაშია. ეს ახალი სოციალური პაკეტი რამდენად არის მისი საარჩევნო კამპანიის ნაწილი?

– არაფერი არ უშველით. 200-ლარიანი დახმარების იმედი ნუ ექნებათ. სააკაშვილის ხელისუფლების დროს 500-ლარიანი სტუდენტური დასაქმებები იყო. მაშინდელი 500 ლარი და დღევანდელი 200 ლარი ერთია?! „ქართული ოცნება“ ფიქრობს, რომ ბეჩავია ხალხი და 200 ლარად მოისყიდის. არ მოხდება ასე.

8 წლის მანძილზე კარგად გაიცნო ამომრჩეველმა ეს ხელისუფლება. რა არის 200 ლარი? სასკოლოდ ბავშვს უყიდიან შარვალს და პერანგს და მორჩა! იმის მერე მთელი 4 წელი ცხოვრება არ უნდათ?! ჭამა არ უნდათ?! ნუ ჰგონიათ, რომ ასე ვიწრო ინტერესები აქვს ხალხს. ძალიანაც შორს იყურება ქართველი ხალხი. აღარ მუშაობს ბიძინა ივანიშვილის ტრიუკები!

– შიგნით რამდენად დაალაგა „ოცნებამ“ სიტუაცია? სერიოზული დაპირისპირება იყო კალაძე-გახარიას შორის. ახლა რა ხდება?

– ისევ დაპირისპირებაა. გახარია გამოვიდა და ფაქტობრივად თქვა, გომელაური ცუდი შინაგან საქმეთა მინისტრიაო. ეს განცხადება მთავრობის მეთაურმა გააკეთა. იქით კალაძეა დარეული ვიღაც-ვიღაცებთან, აქეთ ივანიშვილი. მათ გარანტიები სჭირდებათ და ყველა თავისას ცდილობს.

– ბევრი ვეღარ მოხვდება „ოცნების“ სიაში და ეს დაძაბავს სიტუაციას. ძველი სიიდან მაქსიმუმ 20 დეპუტატი მოხვდეს. ასეა?

– დიახ, ბევრი ვერ მოხვდება, ეს მარტივია, 73 ოლქი იყო და დარჩა 30. იმ 30-ს იმედი მაინც აქვს და დანარჩენ 43-ს არაფრის იმედი აღარ აქვს. ახლა სხედან და ფიქრობენ, ადრე თუ 80 კაცი შევიდოდა სიით, ახლა ფიქრობენ, რომ შევლენ 30-40. დავიწროებულია სია. ფაქტია, რომ ეს შიგნით გარდაუვალ აფეთქებას გამოიწვევს. ეს ხალხი იდეოლოგიის გარშემო ხომ არ არის გაერთიანებული, ყველა ფულის გარშემოა გაერთიანებული.

– ანუ „ოცნების“ შიგნით სიტუაციის დაძაბვას ელით?

– რა თქმა უნდა! ხალხი ძალიან მალე ნახავს, თუ ვისთან აქვს საქმე. დღეს ოპოზიციას მთავარი ამოცანა აქვს შესასრულებელი, რომ ხალხი დაარწმუნოს, იბრძოლოს უკეთესი მომავლისთვის. დავანახოთ, როგორ უნდა გამოვიდეთ ამ კრიზისიდან, ვესაუბროთ უკეთეს მომავალზე.

მოვრჩეთ ერთმანეთისთვის ტალახის სროლას და უაზრო ბრალდებებს. დავიწყოთ ამ ქვეყნის მშენებლობა ერთად.

„ოცნების“ საარჩევნო სიაში რამდენიმე მინისტრიც იქნება

ვახტანგ ძაბირაძე: „წინასაარჩევნოდ სამთავრობო ცვლილებები მოსალოდნელი არის“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, საუბარია, რომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში რამდენიმე მინისტრი გადაინაცვლებს. წინასაარჩევნოდ სამთავრობო ცვლილებები რამდენად არის მოსალოდნელი?

– წინასაარჩევნოდ სამთავრობო ცვლილებები მოსალოდნელი არის. თუ მაჟორიტარების მაგალითზე ვიმსჯელებთ, ამ შემთხვევაში გუბერნატორები მყავს მხედველობაში, ისინი მაჟორიტარობის კანდიდატები გახდნენ. არ არის გამორიცხული, იგივე სცენარი გათამაშდეს აღმასრულებელი ხელისუფლების შემთხვევაშიც. მე არ გამოვრიცხავ, რომ რამდენიმე მინისტრი „ოცნების“ საარჩევნო სიაში ვიხილოთ. ეს როტაცია სავსებით მოსალოდნელია.

არჩევნების შემდეგ, ყველა ვარიანტში, ახალი მთავრობა იქნება. დღეს მოქმედი მინისტრები თანამდებობებს ვერ შეინარჩუნებენ და ამიტომ ძალიან მოსახერხებელიც იქნება „ქართული ოცნებისთვის“, თუ მათ სიაში ჩასვამს, ამით მათი შრომითი მოწყობის პრობლემასაც აირიდებს.

სამთავრობო ცვლილებებით „ქართული ოცნება“ დაიწყებს ახალ სამთავრობო პროგრამაზე საუბარს ბევრად უფრო თამამად. ეს უკვე იქნება ახალი მინისტრთა კაბინეტის პროგრამა. ეს წინასაარჩევნოდ კარგად ჩაჯდება და ასეთი მიდგომა წინასაარჩევნოდ, რასაკვირველია, ბევ-



რად უფრო მომგებიანია. ამდენად, მინისტრები, რომლებიც პორტფელს ვერ შეინარჩუნებენ, პროპორციულ სიაში გადაბარგდებიან.

– არიან მინისტრები, რომელთაც არ დაემშვიდობებიან, არამედ მათ შემდგომ კარიერაზე იზრუნებს „ოცნება“?

– არა, ალბათ არიან მინისტრები, რომლებიც გაშვებას „ექვემდებარებიან“. თუმცა, რომ გითხრათ, ეს მინისტრები რაიმე სახის გავლენას მოახდენენ, მით უფრო უარყოფითს საარჩევნო სიაზე, ასე არ არის.

– რაც შეეხება გახარიას?

– გახარია პრემიერის პოსტს შეინარჩუნებს და ის ამ რანგში ჩაატარებს ამ არჩევნებს. არა მგონია, დღეს „ოცნებაში“ მოიძებნებოდეს ფიგურა, რომელიც შეძლებს იგივეს გაკეთებას, რაც შეძლო გახარიამ. გახარიას საკმაოდ დადებითი რეიტინგი აქვს, ის დღეს „ოცნებას“ სჭირდება. ამიტომ, გაუგებარი იქნებოდა, რატომ უნდა შეცვალოს ასეთი ფიგურა?! ამიტომ, დიდი ალბათობით „ქართული ოცნება“ ამ ნაბიჯს არ გადადგამს. მეტიც, სწორედ გახარია იქნება ამ გუნდის ლოკომოტივი ამ არჩევნებზე.

– როგორ ფიქრობთ, თეა წულუკიანი სიაში გადაინაცვლებს?

– წულუკიანი არის ერთადერთი მინისტრი, რომელიც რვა წლის მანძილზე თანამდებობას ინარჩუნებს. თუ იქიდან ამოვალთ, რომ მან ბევრ ქარტეხილს გაუძლო, მე არ გამოვრიცხავ, რომ ის კიდევ ერთი ვადით იყოს მინისტრი. ის უკვე სტაჟიანი მინისტრია. თუმცა, არაფერი არ არის გამორიცხული, რა თქმა უნდა, მათ შორის არც ის, რომ წულუკიანი სიაში ვიხილოთ. თუ მისი გაშვება გადაწყვეტილია, მაშინ ის აუცილებლად გადაინაცვლებს საარჩევნო სიაში.

– ვინც დღეს პარლამენტში „ქართული ოცნების“ პოლიტიკას ქმნის, ეს ხალხი იქნება ახალ სიაში? კობახიძესა და თალაკვაძეს არ ვგულისხმობ, რადგან, ჩვენი ინფორმაციით, ისინი სიაში უკვე არიან.

– ეს გუნდი საპარლამენტო სიაში ადგილს შეინარჩუნებს. ვგულისხმობ: მდინარაძეს, ოხანაშვილს, მათიკაშვილს, კილაძეს, ალბათ ეს ხალხი შეინარჩუნებს.

– მაშინ, გამოდის, სია არც ისე განახლებული იქნება, რასაც გვპირდებიან.

– 50-50-ზე იქნება. არ ვიცი, ეს ხალხი იქნება თუ არა სიის წამყვან ადგილებზე, მაგრამ ესენიც იქნებიან. თუმცა, ე.წ. ახალი სახეებიც იქნებიან, უკვე სახელდება კიდეც გარედან რამდენიმე. ისე, ეს „ახალი სახეები“ ცოტა უცნაური ტერმინია. პოლიტიკაში ეს მაინცდამაინც არ ამართლებს, როდესაც არაფერი არ იცი ადამიანის შესახებ, არც მისი დიაპაზონი შესაძლებლობების და ა.შ. პოლიტიკური იერარქია, როგორც ასეთი, არ არსებობს ჩვენთან. ისე, სანამ პარლამენტის დეპუტატი გახდება ადამიანი, საკრებულოს წევრი მაინც უნდა იყოს, ან არასამთავრობო სექტორიდან უნდა იყოს, ან საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა იყოს მისი საქმიანობით.

– რაც შეეხება ოპოზიციას. ზურაბ ჯაფარიძემ დიდუბე-ჩუღურეთში წარმოადგინა თავისი კანდიდატურა. არ არის გამორიცხული, გაერთიანებულმა ოპოზიციამ მას მხარი დაუჭიროს, უკვე იყო დადებითი გამოხმაურებები. როგორია მისი შანსები თქვენი შეფასებით?

– თუ ზურაბ ჯაფარიძე გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი იქნება, მაშინ მას შანსი აქვს, მეორე ტურში გავიდეს.

– ვისა და ვის შორის მეორე ტური? რადგან იქ ანა დოლიძეც იყრის კენჭს, „ოცნებიდან“ კი გია ვოლსკი.

– ამ შემთხვევაში მეორე ტური იქნება გია ვოლსკისა და ზურაბ ჯაფარიძეს შორის, მაგრამ თუ ჯაფარიძე გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი არ იქნება, მაშინ მას გაუჭირდება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ბოლომდე მაინც არ არის ჩამოყალიბებული. ზოგადად როგორი პოზიცია ექნება „ნაციონალურ მოძრაობას“ თბილისის მაჟორიტარ კანდიდატებზეც, ესეც გაურკვეველი მგონია. ვნახოთ, როგორი იქნება მათი გადაწყვეტილება.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

გიგლა ბარამიძე: „ოპოზიციის დაშლა-მოშლაზე ყურადღება გადააქვს „ქართულ ოცნებას“

„ხალხი რომ შიმშილობს, ეს ხელისუფლებას არჩევნების წინ არ უნდა ახსენდებოდეს“

მარიამ მჭედლიშვილი

არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, ხელისუფლება აგრძელებს ანტიკრიზისულ სოციალურ პაკეტს. პარტიები წარადგენენ მაჟორიტარების კანდიდატებს. ბევრი საუბარია იმაზე, რომ ოპოზიცია დაიქსაქსა. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობის“ გენერალურ მდივანს, გიგლა ბარამიძეს.

– 10 აგვისტოს მმართველმა პარტიამ კახეთიდან დაიწყო რეგიონებში თავისი მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენა. „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კახი კალაძემ იქ აღნიშნა, რომ ამ ხელისუფლების დროს გლეხის შრომას ფასი დაედო და ამოქმედდა სოფლის მეურნეობის პროგრამები.

– ჯერ ერთი, ვიტყვი, რომ ამ შეხვედრაზე „ქართულმა ოცნებამ“ უხუშად დაარღვია კანონმდებლობა. სულ იმას გაიძახიან, არჩევნების წინ ადმინისტრაციულ რესურსს არ გამოვიყენებთო. იყენებენ კი არა, კახეთში მთელი მთავრობა ჩაიყვანეს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით. ეს ხდება სამუშაო დროს. ლამის მთავრობის სხდომა გამართონ. გასაგებია, რომ კახი კალაძე პარტიის გენერალური მდივანია, მაგრამ თბილისის მერიც ხომ არის? სამუშაო საათებში რეგიონებში სიარულს, ურჩევნია, უგუნურად გადაკეთებულ ჭავჭავაძის გამზირს მიხედოს, სადაც ამდენი პრობლემა შეიქმნა! რაც შეეხება განცხადებებს გლეხის შრომის დაფასების შესახებ, ეს ტყუილი თავის მოწონებაა. საქართველოში გლეხის შრომა ყველა დროს დაფასებული იყო. იმისდა მიუხედავად, რას ახორციელებდა რომელიმე მთავრობა. ამ თავის ქებაში „ოცნება“ ძალიან ჰგავს თავის წინამორბედს – სააკაშვილის ხელისუფლებას. სააკაშვილი და მისი გარემოცვა ხალხს ეუბნებოდნენ, საქართველოს ნამდვილი ისტორია მათ დროს დაიწყო. არადა, თუ რამე ღირებული მოხდა უახლესი საქართველოს ისტორიაში, მანამდე იყო.

– რა გაქვთ მხედველობაში?

– საერთაშორისო პროექტებში საქართველოს ჩაბმა, ასევე საერთაშორისო ინსტიტუტებში, ორგანიზაციებში გაწევრიანება. სააკაშვილი ბევრ რამეს იბრალებდა. ესენიც მასავით იქცევიან. ასე როგორ დაემსგავსნენ ერთმანეთს?!

– ამ დღეებში ომის მე-12 წლისთავია და ეს ორი ძალა, ანუ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ერთმანეთს უწოდებდნენ ოკუპაციის თანამონაწილეებს. ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ ამ ხელისუფლებამ აირჩია რაციონალური პოლიტიკა რუსეთის მიმართ და მისი მიზანია რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების მინიმუმამდე შემცირება.

– ეს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის მორიგი სისულელეა. რა შეამცირეს მინიმუმამდე?! მცოცავი ოკუპაცია ისეთი ტემპებით და ძალით მიმდინარეობს, ლამის სააკაძის ძეგლთან გაგვიბან მავთულხლართები! ამ ხალხის მიზანი რაციონალური პოლიტიკა როგორ იქნება?! ამათ საერთოდ არა აქვთ პოლიტიკა ამ სფეროში. პოლიტიკა რომ ჰქონდეთ, სადმე, რომელიმე საერთაშორისო არენაზე ერთხელ მაინც წამოსწევდნენ საქართველოს დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის საკითხს.

– საერთაშორისო და ევროპული ორგანიზაციები ამაზე მსჯელობენ ხოლმე, რეზოლუციებსაც იღებენ.

– ამაში საქართველო არ მონაწილეობს. ეს ორგანიზაციები ამას თვითონ აკეთებენ. „ოცნების“ ეს აქტივისტები კი სხვა რამით არიან დაკავებული. მათი მთავარი მიზანია, როგორმე კარგად შეუძვრნენ თავიანთ პატრონს.

– რომელ პატრონს?

– აქაურ, ქართველ პატრონს, რომელმაც ისინი პოლიტიკაში მოიყვანა.

– სიღარიბე და სიღატაკე საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა. ხელისუფლება აგრძელებს ანტიკრიზისული სოციალური დახმარებების პაკეტს. ამაზე რას იტყვით?

– ხალხი რომ შიმშილობს, ეს ხელისუფლებას არჩევნების წინ არ უნდა ახსენდებოდეს. 150 000 გაჭირვებული გვყავსო, ახლა რომ ამბობენ, აქამდე სად იყვნენ? ამ სოციალურ დახმარებებსაც ნუ გვამადლიან! წესიერი და კეთილსინდისიერი ხალხი მაღალი ხელფასების გარდა, ამ სიტუაციაში პრემია-დანამატებს აიღებდა?!

– რომელ პერიოდზე საუბრობთ?

– ეგენი პრემიებსა და დანამატებს არასდროს იკლებენ. აუდიტის დასკვნით, 3 თვის განმავლობაში, საგანგებო მდგომარეობის დროს, ამ ხელისუფლების ჩინოსნებმა აიღეს 60 მილიონი ლარის პრემია-დანამატი. ამ დროს ხალხის უმრავლესობა უშემოსავლოდ სახლებში იყო გამოკეტილი. ხალხს ვხვდებით და ვხედავთ, რომ სიღარიბის გარდა, მას უნდობლობაც აწუხებს. კიდევ უფრო გაზრდილია უნდობლობა „ქართული ოცნების“ მიმართ, რომელმაც 2012 წლიდან მოყოლებული ფაქტობრივად არც ერთი დაპირება არ შეასრულა.

– ბევრი საუბარია იმაზე, რომ ოპოზიცია დაიქსაქსა და ხელისუფლებას ერთიანი ფრონტით ვერ შეუტევს.

– ოპოზიციის დაშლა-მოშლაზე ყურადღება გადააქვს „ქართულ ოცნებას“. ჩვენ, „ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა“ ხალხს ვინმესთან გაერთიანებას არ შევპირებივართ. ის, რაც ვთქვით, შევასრულეთ კიდეც. ჩვენი ერთობლივი ბრძოლის შედეგად შეიცვალა კონსტიტუცია და საარჩევნო კოდექსი. ამაში კონკრეტულად ჩვენი პარტიის დიდი წვლილია. არსებობს კიდევ ერთი საკითხი – არჩევნების გაყალბება. გაყალბება რომ არ დავუშვათ, ამაზეც შეიძლება გაერთიანება. ოპოზიციის დაშლაზე კი სულ ტყუილად ჭიჭყინებენ. ჩვენი პარტია დამოუკიდებლად მონაწილეობს არჩევნებში. სადაც ჩავთვლით საჭიროდ, იქ დავაყენებთ ჩვენს კანდიდატურებს. ზოგ საარჩევნო ოლქში ასე იქნება, ზოგში – ისე. ჩვენ საზოგადოების წინაშე პირნათელი ვართ. სხვებთან ბლოკის შექმნას არავის შევპირებივართ. შეიქმნა მრავალპარტიულობის პირობები. ადამიანს მიეცა არჩევანის საშუალება. მთავარია, არ დავუშვათ გაყალბება.

„ლიახვის ხეობაში ჩეჩნები რუსებს ქართველების სახლების დაწვას უკრძალავდნენ“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი ლიახვის ხეობიდან გურამ ვახტანგაშვილი პასუხობს.

– ბატონო გურამ, დღეს, 2008 წლის რუსეთის საქართველოზე ფართომასშტაბიანი შემოტევიდან 12 წლის შემდეგ, საუბარია პასუხისმგებლობაზე, რომელიც 8 აგვისტოს ტრაგედიის გამო შეიძლება დადგეს. ნაცმოძრაობა მომხდარზე პასუხისმგებლობას თავიდან იცილებს. თქვენ თვალწინ გაირბინა 2008 წლის ტრაგიკულმა მოვლენებმა და მანამდე 20-წლიანმა ბრძოლამ ცხინვალის რეგიონის შენარჩუნებისთვის. თქვენი შეფასებით, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა იმ ომის შედეგებზე, რაც 2008 წელს იყო?

– 2008 წლის ტრაგიკული მოვლენების გამო, ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა რუსეთს, ოკუპანტს ეკისრება, რომელიც შემოუღვა ჯარებს და ქართველი ხალხის წინაშე დანაშაული ჩაიდინა. 20-წლიანი ბრძოლის და სისხლის ფასად მთელი შენახული ხეობები 8-9 აგვისტოს გაანადგურეს, სოფლები გადაწვეს, მოსახლეობა გამოდევნეს. ამ ომს შეეწირა მშვიდობიანი მოსახლეობა.

მეორე – პასუხისმგებლობა ეკისრება ჩვენს მაშინდელ ხელისუფლებას, რომლის ყველაზე დიდი დანაშაული ის იყო, რომ მოსახლეობა მიატოვა, მათი ევაკუაცია არ მოახდინა, არაფერი იღონა იმისათვის, რომ მოსახლეობა სამშვიდობოს გამოეყვანა და ომსა და უბედურებაში მიატოვა. ეს იყო ჩვენი ხელისუფლების დანაშაული.

ჩვენი ხელისუფლების კიდევ ერთი დანაშაული ის იყო, რომ არც ცენტრალური ხელისუფლების, არც – სამხარეო ხელისუფლების წარმომადგენლები ტრაგედიის ზონაში არ გამოჩენილან. საწყალი მოსახლეობა თავისი ძალებით ცდილობდა მტრისთვის თავის დაღწევას. ეს იყო ჩვენი ხელისუფლების ყველაზე დიდი დანაშაული.

– ახლა ბევრი ამბობს, რომ შეიძლებოდა იმ უბედურების თავიდან აცილება. ერთ-ერთ ტელეარხზე მოვისმინე ესტონეთის პრეზიდენტის ინტერვიუ, რომელიც საუბრობს იმაზე, თუ როგორ დაუკავშირდა სააკაშვილი რუსეთის ფართომასშტაბიანი შემოტევიდან ერთი დღით ადრე. უთხრა, რომ რუსეთი ბომბავდა საქართველოს ტერიტორიას და ჰკითხა, რა ეღონა. ვურჩიეთ, არაფერი მოემოქმედებინა, ყველაფერი აღენუსხა და მიემართა საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, ნატოსთვის, გაეროსთვის, ევროკავშირისთვის და ეს იქნებოდა რთული სიტუაციიდან გამოსავალი, თუმცა, ჩვენ ვნახეთ ჩვენი შენაერთების ცხინვალის მიმართულებით გადაადგილება. სააკაშვილს ესტონეთის პრეზიდენტის რჩევისამებრ რომ ემოქმედა, შეიძლებოდა თუ არა ამ ტრაგედიის თავიდან აცილება?

– ომი, ფაქტობრივად, 1989-90 წლებში დაიწყო. 20 წლის განმავლობაში ხან ყოველდღე იყო სროლები, ხან – დროგამოშვებით. 20 წლის განმავლობაში შეტაკებები ხდებოდა, ხალხი იხოცებოდა. ყველაზე დიდი შეტაკება 2004 წელს იყო, როცა ნაციონალებმა ერგნეთის ბაზარი დახურეს, ვითომ ჰუმანიტარული შტურმი დაიწყეს და სააკაშვილმა ხეობაში საპოლიციო შენაერთები შემოიყვანა.

18 კაცი მაშინ დაგვეღუპა. მაშინ მსოფლიო ჩაერთო, შედეგად ჩვენი შეყვანილი საპოლიციო შენაერთები და ოსების შენაერთები გავიდა. ფაქტობრივად, ახალი პროცესი დაიწყო 2004 წლის აგვისტოში, როცა 18 კაცი დაგვეღუპა. მაშინ უკვე სულ მთლიანად დაიკეტა ყველა გასასვლელი. ხეობის მოსახლეობა ერედვის შემოვლითი გზით სარგებლობდა. დროგამოშვებით, თვეში ერთხელ, ორ თვეში ერთხელ სროლები იყო. აგვისტოში ოსური მხრიდან ქართული სოფლების მიმართულებით დაბომბვები და სროლები გააქტიურდა, მაგრამ არც საგარეო საქმეთა სამინისტრომ, არც შერეულმა საკონტროლო კომისიამ, რეალურად, არაფერი იღონა ვითარების სტაბილიზაციისთვის, ქართველებსა და ოსებს შორის დიალოგი აღარ მიმდინარეობდა.

კიდევ დიდი შეცდომა ცხინვალზე შეტევა იყო. ოსებმა და რუსებმა ორი კვირით ადრე ცხინვალიდან მოხუცები, ქალები და ბავშვები ვლადიკავკაზში გადაიყვანეს. ახლა ოსები და რუსები რომ აცხადებენ, მძინარე ქალაქს დაუწყეს სროლაო, სისულელეა. ფაქტობრივად, ცხინვალიდან მოსახლეობა გაყვანილი იყო.

– ახლა ამას რუსები და ოსები სათავისოდ იყენებენ.

– დიახ, იყენებენ. შეიძლებოდა ცხინვალში რომ არ შესულიყვნენ და მხოლოდ შემოვლითი გზები გაეკონტროლებინათ, მსოფლიო ჩაერთვებოდა და გაჩერდებოდნენ.

კიდევ ერთი უბედურება ის იყო, რუსები შემოვიდნენ ჯავის რაიონში, სადაც ქართული სოფლებია, ქურთა, აჩაბეთი, თამარაშენი. ძალიან ძლიერი სოფლები იყო, მოსახლეობა კი გამოყვანილი არ გახლდათ.

არ მოხდა ჩვენ მიერ კონტროლირებადი სოფლების დაცვა. 12 აგვისტომდე პატარა ლიახვის ხეობაში რუსები და ოსები არ შემოსულან, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით. ვგულისხმობ ერედვს და პატარა ლიახვის სოფლებს.

– ანუ შეიძლებოდა გამაგრება და ლიახვის ხეობების დაცვა?

– შეიძლება დიდი ლიახვის ხეობა ვერ შეგვენარჩუნებინა, მაგრამ პატარა ლიახვის ხეობის (9 სოფლის) შენარჩუნება შეიძლებოდა. 12 აგვისტომდე ამ ხეობაში ოსები და რუსები არ შემოდიოდნენ, ჩვენ კი იქაურობა ვერ გავამაგრეთ და ვერ შევინარჩუნეთ.

– გზა გახსნილი დახვდათ და გააგრძელეს სვლა.

– 8 აგვისტოს საღამოს ხეობაში შემოსული ჩვენი ყველა საპოლიციო თუ საჯარისო ნაწილები გამოსული იყო. ხეობიდან ყველა ჯარისკაცი გამოიყვანეს. ფაქტობრივად, თოფის გაუსროლელად და პატარა ლიახვის ხეობა დაიკარგა.

ქართული საჯარისო ფორმირებები ქართული სოფლებიდან ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვრების გარეთა სოფლებიდანაც გამოიყვანეს. არავითარი ზომები არ მიიღეს იმისათვის, რომ მტერი ახალგორში არ შესულიყო. რუსმა და ოსმა ბოევიკებმა თავისუფლად, თოფის გაუსროლელად დაიკავეს ჩვენი დატოვებული ტერიტორიები.

ლიახვის ხეობები რომ დაიკავეს, პატარა ლიახვის ხეობა სულ მთლიანად გადაწვეს. ლიახვის მარცხენა სანაპიროს სოფლებში ოსი ბოევიკები შემოვიდნენ. ჩემი ინფორმაციით, მარჯვენა სანაპირო სოფლებში ოს ბოევიკებს ჩეჩნები უკრძალავდნენ სახლების დაწვას.

– ჩეჩნები უკრძალავდნენ ოსებს ქართველების სახლების დაწვას?

– დიახ, ჩეჩნები ქართველების სახლების დაწვას უკრძალავდნენ. შემოვლით გზაზე ქართული და რუსული სამშვიდობო ბატალიონები რომ იდგა, მათ შორის, ჩეჩნების ნაწილი იყო. ჩვენს გაუბედურებულ, გამწარებულ მოსახლეობას, რომლებიც აქეთ მოდიოდა, ჩეჩნები ეშველებოდნენ, არავის არაფერს ართმევდნენ, საწვავი თუ გაუთავდებოდათ, აძლევდნენ, ეუბნებოდნენ, აქაურობა ჩქარა დატოვეთ, სანამ რუსები და ოსები შემოვლენო.

კალაძე: „სააკაშვილისგან ბევრ სისულელეს ვისმენთ“

– ის, რაც მოხდა 2008 წელს, არის ძალიან დიდი უბედურება. მაშინდელმა ხელისუფლებამ არაფერი არ გააკეთა იმისთვის, რომ რეალურად აერიდებინა ეს დიდი ტრაგედია ჩვენი ქვეყნისთვის.

ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა, თბილისის მერმა კახა კალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა. მისი თქმით, ახლა საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, რომელიც იცავს ქვეყნის ინტერესებს.

შეკითხვაზე, თუ როგორ შეაფასებდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ბოლოდროინდელ განცხადებებს, კალაძემ ასე უპასუხა:

– ჩვენ ბოლო დღეების განმავლობაში ძალიან ბევრ სისულელეს ვისმენთ ამ ადამიანისგან და ეს სიახლე არ არის, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუმცა აქ საქმე ეხება ზოგადად ქვეყანას, ქვეყნის ინტერესებს. ჩვენს ქვეყანას ჰყავს ხელისუფლება, რომელიც ყოველთვის იცავდა, იცავს და მომავალშიც დაიცავს ჩვენი ქვეყნის ინტერესებს.

ის, რაც მოხდა 2008 წელს, არის ძალიან დიდი უბედურება. მაშინდელმა ხელისუფლებამ არაფერი არ გააკეთა იმისთვის, რომ რეალურად აერიდებინა ეს დიდი ტრაგედია ჩვენი ქვეყნისთვის, საიდანაც ჩვენ დავკარგეთ ტერიტორიების დიდი ნაწილი, გვყავს ბევრი გარდაცვლილი ადამიანი, ჩვენი გმირი ჯარისკაცები.

შესაბამისად, ჩვენ ყოველთვის ჩვენი ქვეყნის ინტერესებს დავიცავთ. მე ბევრი რამის თქმა შემიძლია, უბრალოდ, ისევ და ისევ ჩემი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ამას არ გავაკეთებ, – განაცხადა კალაძემ.

„ეი, ოლიგარქ, 5 მილიონი დოლარი უნდა გადაგვიხადო!“

ვინ ემუქრება ენზელ მკოიანს

„ქართული ოცნების“ ნინოწმინდა-ახალქალაქის მაჟორიტარი დეპუტატის ენზელ მკოიანის ადვოკატის ტარიელ მურმანიშვილის განცხადებით, მკოიანს აშანტაჟებენ, სიცოცხლის მოსპობით ემუქრებიან და მის მიმართ ფულის – 5 მილიონი დოლარის გამოძალვის მცდელობას ჰქონდა ადგილი.

ადვოკატის განმარტებით, ენზელ მკოიანი შეშინებულია და ის ამერიკის ელჩთან შეხვედრას ითხოვს.

– ენზელ მკოიანმა მთხოვა მისი სახელით გამეკეთებინა განცხადება. საქმე ეხება მუქარის, შანტაჟისა და გამოძალვის ფაქტებს....პირველი ფაქტი 2020 წლის 20 ივლისს, საღამოს საათებში მოხდა, მას მისსავე მობილურ ტელეფონზე მესენჯერის საშუალებით დაურეკეს, იქიდან მოსაუბრე პიროვნება მას ესაუბრებოდა რუსულ ენაზე, კავკასიური აქცენტით, რომელმაც განუცხადა, რომ ჩამოსცილებოდა საერთოდ პოლიტიკას, ყოფილიყო თავისთვის წყნარად, არავისთან კავშირი არ ჰქონოდა, თორემ მას წაართმევდნენ მისთვის ყველაზე ახლობელ ადამიანს.

რამდენიმე დღის შემდეგ, 24 ივლისს, საღამო საათებში მეორე ზარი, უკვე „ვოტსაფის“ მეშვეობით განხორციელდა, პიროვნება ისევ რუსულ ენაზე საუბრობდა.

მკოიანს მიაჩნია, რომ შემოსული ზარი ინდექსის მიხედვით მოსკოვიდან იყო. მას ისევ რუსულად და კავკასიური აქცენტით ესაუბრებოდნენ, ისინი გადავიდნენ ფულის გამოძალვაზე. მიმართვა იყო ასეთი – „ეი, ოლიგარქ, ბიზნესში რომ ხარ, რატომ არ იხდი ფულს, 5 მილიონი დოლარი უნდა გადაგვიხადო“. მათ მკოიანმა ჰკითხა, თქვენ ვინ ხართ, ან რომ არ გადაგიხადოთ, რას იზამთო. იქიდან წამოვიდა მუქარა, ორი პიროვნება ესაუბრებოდა მას. ერთი ეუბნებოდა, 15 წელი ციხეში ვიჯექი, ახალი გამოსული ვარ და თუ ჩვენ მიერ მოწოდებულ ანგარიშის ნომრებზე მითითებულ ქვეყნებში 5 მილიონ დოლარს არ ჩარიცხავ, ჩვენ მოგკლავთ და კიდევ 20 წლით წავალთ ციხეშიო....

როგორც ბატონი ენზელი ამბობს, ორივე საუბრობდა კრიმინალისთვის დამახასიათებელი ჟარგონებით. ამან ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის შეშფოთება და შეშინება გამოიწვია. მოგეხსენებათ, რამდენიმე თვის წინ მის მიმართ დღისით განხორციელდა თავდასხმა მოკვლის მიზნით, მას 3-ჯერ ესროლეს დამიზნებით, ის პოლიციელების ჩართვით გადარჩა, მან საკუთარი თვალით შეხედა სიკვდილს. თვეების განმავლობაში ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები მას ადანაშაულებდნენ და მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა მიმდინარეობდა.

ეს ადამიანი, მისი ოჯახი დასტრესილია, მისი მეუღლე წამლებს სვამს და ახლა ეს მუქარის ფაქტიც დაემატა. წარმოიდგინეთ, პირველ შემთხვევაში, მას ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდნენ, მეორე შემთხვევაში – სიცოცხლის წართმევით ემუქრებიან, – აცხადებს მურმანიშვილი.

მისივე განმარტებით, მკოიანი ითხოვს, აღნიშნული ფაქტი არა რეგიონულმა პოლიციამ, არამედ გენერალურმა პროკურატურამ გამოიძიოს.

– თავიდან გაოგნებული, შეშინებული იყო, შემდეგ პროკურატურას მივმართეთ განცხადებით მუქარისა და გამოძალვის ფაქტზე. რატომღაც ეს ჩვენი განცხადება რეგიონული პოლიციის განყოფილებაში აღმოჩნდა. მუქარა განხორციელებულია საქართველოს პარლამენტის წევრზე, შესაბამისად, რეგიონულმა პოლიციამ ეს არ უნდა გამოიძიოს, ჩვენ გვსურს, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა გამოიძიოს.

არა მარტო ენზელ მკოიანია ძალიან შეშინებული, არამედ მისი ოჯახის წევრებიც, ამ პიროვნებას მარტო არსად არ უშვებენ, დაყვებიან, ვერ შორდებიან. ამის გამო ენზელმა მთხოვა განცხადება გამეკეთებინა და ის საქართველოში აკრედიტირებულ ყველა ელჩს მიმართავს, რომ მისი ოჯახის წევრების სიცოცხლე დაცული იყოს. ის ითხოვს ამერიკის ელჩთან შეხვედრას, – განაცხადა მურმანიშვილმა.

ახალქალაქში მკვლელობის საქმეზე დაკავებულს ბრალდება წარედგინა

საქართველოს პროკურატურამ ახალქალაქში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე ა.გ.-ს ბრალდება განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარების მუხლებით წარუდგინა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დგინდება, რომ 2020 წლის 8 აგვისტოს, საღამოს საათებში, ახალქალაქში, პირთა ჯგუფს შორის მომხდარი შელაპარაკებისა და ფიზიკური დაპირისპირების დროს, ა.გ-მ მოკვლის განზრახვით, იარაღიდან გასროლით ვ.მ-ს გულმკერდის არეში ჭრილობა მიაყენა. მიყენებული ჭრილობის შედეგად ვ.მ. საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ა.გ. 9 აგვისტოს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება) წარედგინა.

პროკურატურა ა.გ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების, პატიმრობის, გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოს მიმართავს.

აღსანიშნავია, რომ ამავე საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის საქმე ჯგუფური მოქმედების ორგანიზებისა და მასში მონაწილეობის ფაქტზე, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის განზრახ დაზიანება და განადგურება იარაღის გამოყენებით. დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით. ორივე სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“ – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ტრაგედია მახინჯაურთან – ბაბუის გაცილებას ბებია, რძალი და შვილიშვილი შეეწირნენ

მანქანა 7 ქვეითს დაეჯახა

ბათუმი-ჩაქვის დამაკავშირებელ ცენტრალურ საავტომობილო გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის ერთი არასრულწლოვანია. ავტოსაგზაო შემთხვევისას 4 ბავშვი დაშავდა, ისინი საავადმყოფოში არიან გადაყვანილი. ავტომანქანა ქვეითებს დაეჯახა, რომლებიც ტროტუართან იდგნენ. ერთი ოჯახის წევრები ბაბუას აცილებდნენ. ამის შესახებ ინფორმაცია „ბათუმელებს“ სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან შეკრებილმა ახლობლებმა უთხრეს. დაღუპულები არიან ბებია, რძალი და შვილიშვილი. დაშავებული ერთი არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. ექიმების ინფორმაციით, მას თავის ქალა აქვს დაზიანებული, ხოლო ორი არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მათ სამედიცინო დახმარება უტარდებათ. დაშავებულები ბათუმის დედათა და ბავშვთა სამედიცინო ცენტრში არიან მოთავსებული. მსუბუქი ავტომობილის მძღოლი დაკავებულია.

შემთხვევა 9 აგვისტოს ღამით მოხდა. მომხდარ ფაქტზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც სატრანსპორტო მოძრაობისას წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

თელავში 70 წლამდე მამაკაცს ეძებენ

თელავში 70 წლამდე კაცს ეძებენ. სოფელ ვანთაში მცხოვრები მერაბ (აბელა) ამბროსიძე, 4 დღეა არავის უნახავს. ოჯახი თავდაპირველად საკუთარი ძალებით ეძებდა, თუმცა მოგვიანებით მამაკაცის გაუჩინარების თაობაზე სამართალდამცველებს აცნობეს. სამძებრო ღონისძიებებში ჩართულია პოლიცია და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

მიხეილ რამიშვილი: „ძალიან ორგანიზებულად არის დანაშაული ჩადენილი“

23 წლის პროგრამისტის თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახის ადვოკატი მიხეილ რამიშვილი ვარაუდობს, რომ თამარ ბაჩალიაშვილის საქმე ორგანიზებულ დანაშაულს უკავშირდება.

როგორც მან ექსპერტიზის ბიუროდან გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, მას ამ ეტაპზე გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე გარკვეულ საკითხზე საუბარი არ სურს, თუმცა, ფიქრობს, რომ მოწმეების ჩვენებებში ძალიან ბევრი კითხვის ნიშანია.

– ყოველთვის ვამბობ, რომ არის საკითხები, რომელზეც საჯარო საუბრისგან თავს ვიკავებ, რადგან გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, საუბარი არ მინდა. ვითვალისწინებ გამოძიების ინტერესებს და იმას, რომ ამ საქმეზე სამართლიანობა დადგინდეს. არ ვითვალისწინებ საზოგადოების გარკვეული წრის ინტერესს, რომ ჭორიკნობის დონეზე დაიკმაყოფილონ თავიანთი ინტერესები. აქ არის სერიოზულ საქმეზე საუბარი.

კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ძალიან ორგანიზებულად არის ეს დანაშაული ჩადენილი. ამიტომ, დეტალურად არ შევეხები არავის ჩვენებას, მაგრამ ჩვენებებშიც არის ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი. მერე ჩამოვაყალიბებ და პირადად დავსვამ ძალიან ბევრ შეკითხვას ყველა მოწმის წინაშე, – განაცხადა რამიშვილმა.

თამარ ბაჩალიაშვილი 18 ივლისს გაუჩინარდა. ახალგაზრდა პროგრამისტი სათვალთვალო კამერებმა ბოლოს თეთრიწყაროს რაიონში დააფიქსირეს. ის 5-დღიანი ძებნის შემდეგ თეთრიწყაროს ტყესთან, საკუთარ მანქანაში გარდაცვლილი იპოვეს. ბაჩალიაშვილის საქმეზე გამოძიება თავისუფლების უკანონო აღკვეთის მუხლით დაიწყო, შემდეგ კი ბრალდების კვალიფიკაციას თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლი დაემატა.

„ბაჩანა ციცქიშვილს მამის ან ძმის დაჭერით დაემუქრნენ“

ადვოკატის განცხადება

„ლონდონის ბაღში“ მომხდარ სისხლიანი გარჩევის საქმეში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ჩაერთო.

ბრალდებულის, ბაჩანა ციცქიშვილის უფლებადამცველის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი სისხლიან ინციდენტში არ მონაწილეობდა, თუმცა პოლიციელების ფსიქოლოგიური ძალადობის შემდეგ საქმე საკუთარ თავზე აიღო.

– მან ეს დანაშაული იმიტომ აიღო თავის თავზე, რომ მასზე პირდაპირი ფსიქოლოგიური ზეწოლა მიმდინარეობდა. ანუ რაში მდგომარეობს ფსიქოლოგიური ზეწოლა – დაემუქრნენ, როგორც თვითონ იძახის, მამის ან ძმის დაკავებით. ამის მერე სასამართლოში, როდესაც განუცხადა სასამართლოს, სასამართლოს პირდაპირი პრეროგატივაა, რომ გადაუგზავნოს ინსპექტორის სამსახურს, – თქვა ცოტნე ჭკადუამ.

მას არ აქვს იმედი, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური საქმეს ჯეროვნად გამოიძიებს.

ინციდენტი 3 აგვისტოს, ლონდონის ბაღში მოხდა. „მთავარი არხის“ ინფორმაციით, 18 წლის ახალგაზრდები – საბა გაბედავა და ნიკა ჩაჩუა მეგობრები არიან. ისინი დაბადების დღიდან ბრუნდებოდნენ, რა დროსაც მათივე კლასელები შეხვდნენ. არსებული ინფორმაციით, კონფლიქტი სწორედ მათთან მოუვიდათ, თუმცა რა გახდა მიზეზი, ჯერჯერობით უცნობია.

ორივე დაჭრილი ალადაშვილის კლინიკაში მკურნალობს.

საქმეში ბრალდებულ ბაჩანა ციცქიშვილს სასამართლომ წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა. საქმეზე გამოძიება 117-ე და 236-ე მუხლებით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

მაღალი ეპიდემიოლოგიური რისკის გამო იზღუდება შესვლა-გამოსვლა მესტიის მუნიციპალიტეტში

უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მაღალი ეპიდემიოლოგიური რისკის გამო იზღუდება შესვლა-გამოსვლა მესტიის მუნიციპალიტეტში: დაბა მესტიის, ბეჩოს, ეცერის, იდლიანის, იფარის, კალას, ლატალის, ლახამულის, ლენჯერის, მულახის, ნაკრას, უშგულის, ფარის, ცხუმარის, წვირმის, ჭუბერის და ხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულებში. კერძოდ, საბჭოს გადაწყვეტილებით იზღუდება გადაადგილება როგორც მესტიის მუნიციპალიტეტის მიმართულებით, ასევე მესტიის მუნიციპალიტეტიდან. რაც გულისხმობს, მუნიციპალიტეტში შესვლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობისთვის, გამოსვლის შემთხვევაში კი – მოქალაქეები ვალდებული იქნებიან, გაიარონ კარანტინი.

დამატებითი რეგულაციები – საკარანტინო შეზღუდვები დაწესდა, დაბა მესტიაში, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლებში – უშგულსა და ლენჯერში, რაც გულისხმობს აღნიშნულ დასახლებებსა და მესტიის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებს შორის გადაადგილების შეზღუდვას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები საკარანტინო შეზღუდვებს 24 საათის განმავლობაში გააკონტროლებენ.

სამართალდამცველები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დასაცავად ინტენსიურ რეჟიმში მოახდენენ პატრულირებას. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ადგილობრივ მოსახლეობას საკარანტინო შეზღუდვების შესახებ ინფორმაციას აწვდიან და საჭიროების შემთხვევაში მათ მაქსიმალურად დაეხმარებიან.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფმა ყველა პირმა უნდა დაიცვას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია თამარ ბაჩალიაშვილის საქმის გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

2020 წლის 5 აგვისტოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან მიღებულ იქნა ხელწერის ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, შემთხვევის ადგილზე ავტომანქანის დათვალიერებისას აღმოჩენილ მოცისფრო, პატარა ზომის ფურცელზე არსებული ტექსტობრივი ჩანაწერი: „ანაბარზე თანხაა, გამოიყენეთ“ – შესრულებულია თამარ ბაჩალიაშვილის მიერ. შემთხვევის ადგილზე ნანახი, თამარ ბაჩალიაშვილის კუთვნილი ავტომანქანა იყო დაკეტილ მდგომარეობაში. ავტომანქანის გასაღები კი მოთავსებული იყო უკანა სავარძელზე, რის გამოც ავტომანქანის გაღება მოხდა ოჯახის წევრების მიერ წარმოდგენილი სათადარიგო გასაღებით. ასევე, გადამოწმდა თამარ ბაჩალიაშვილის კუთვნილი ანგარიშები. ერთ-ერთ ბანკში თამარ ბაჩალიაშვილის ანაბარზე ირიცხება 75.000 ლარი. თამარ ბაჩალიაშვილის საქმეზე ინტენსიურად გრძელდება გამოძიება, მიმდინარეობს ექსპერტიზები. სამინისტრო აქტიურ კომუნიკაციაშია ოჯახთან. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით პერიოდულად მოხდება საზოგადოების ინფორმირება.

„ლუკაშენკო, წადი!“

საპრეზიდენტო არჩევნები ბელარუსში მიტინგების თანხლებით ჩატარდა

როგორც მოსალოდნელ იყო, არჩევნები ბელორუსში ძალადობის თანხლებით ჩატარდა. ზუსტად არჩევნების დღეს გაითიშა ინტერნეტი, ქალაქის ქუჩებში ხელკეტიანი პოლიციელები გამოჩნდნენ. ისინი აკავებდნენ ყველას, ვინც თვალში არ მოუვიდოდათ. დააპატიმრეს ლუკაშენკოს უმთავრესი მოწინააღმდეგის სვეტლანა ტიხანოვსკაიას საარჩევნო შტაბის უფროსი, ქალბატონი მოროზი. მის ბედს სასამართლო ორშაბათს გადაწყვეტს. თავად ტიხანოვსკაიამ ღამე მეგობარ ქალთან გაათია.

– მეშინია, არ დამაპატიმრონ! – განუცხადა მან ჟურნალისტებს.

მილიციამ ოპოზიციის კიდევ ერთი ლიდერის ვალერი ცეპალკოს ცოლის ვერონიკას დაკავებაც სცადა. თავად ვალერი უკვე კარგა ხანია ბელორუსში არ იმყოფება. მისი მეუღლე კი უკანასკნელ მომენტამდე მინსკში რჩებოდა და აქტიურ ოპოზიციურ მოღვაწეობას განაგრძობდა. მილიცია გაუჩინარებულ ვერონიკას კარგა ხანს ამაოდ დაეძებდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ქალმა მშვიდობით გადალახა საზღვარი და რუსეთში გადავიდა. ამჟამად ის მოსკოვშია. ნიღბიანმა სპეცრაზმელებმა მინსკის ცენტრში რუსული ტელე-კომპანია „დოუდის“ ორი ჟურნალისტი დააკავეს. მსგავსი გამოდგა უკრაინელი ჟურნალისტების ხვედრიც.

ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, როცა ტელევიზიით სამთავრობო ეგზიტპოლების შედეგები გადაიცა. მათ თანახმად, ლუკაშენკომ 80% დააგროვა, მისმა უმთავრესმა კონკურენტმა ტიხანოვსკაიამ კი – 7%.

ამის შემდეგ მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა. მინსკში, ბობრუისკსა და სხვაგან გაიმართა მანიფესტაციები ლოზუნგით: „ლუკაშენკო, წადი!“ ხელისუფლებამ ხალხს ომონი მიუსია. დაიწყო დაპატიმრებები. ომონმა რამდენჯერმე დაშალა ხალხი. მიუხედავად ამისა, მანიფესტანტები მაინც კვლავ შეიკრიბნენ. დემონსტრანტებმა მინსკის ცენტრში მაშეროვის მოედანზე ბარიკადების აგება დაიწყეს. ომონმა მათზე იერიში მიიტანა. ძალოვნებმა გამოიყენეს გაზი, ყუმბარები, ხელკეტები. გაისმა აფეთქებების ხმა. ქალაქი ბოლში გაეხვია. მინსკში შეტაკებები გვიან ღამემდე გაგრძელდა. ომონი ძალზე სასტიკად იქცეოდა. ძალოვნები იყენებდნენ წყლის ჭავლს, რეზინის ხელკეტებს, გაზიან ყუმბარებს. მანიფესტანტებს შორის ბევრია დაშავებული. ზუსტი ციფრი ჯერჯერობით უცნობია, რადგანაც ბელორუსში ინტერნეტი შეფერხებით მუშაობს.

შეტაკებები ბელორუსის სხვა ქალაქებშიც მიმდინარეობდა. უამრავი ადამიანია დაკავებული.

ზელენსკი: „უკრაინა დონბასში არაფერს დათმობს!“

უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი დონბასში ჩავიდა.

– უკრაინა დონბასში არაფერს არ დათმობს! ვერავითარი მუქარა ან ზეწოლა ვერ გვაიძულებს რომ უკან დავიხიოთ! ჩვენ ძლიერი არმია გვყავს, რაშიც აგრესორი თვალნათლივ დარწმუნდა! – განუცხადა ჯარისკაცებს ზელენსკიმ.

უკრაინის პრეზიდენტმა კვლავ თქვა, რომ დონბასის ოკუპირებულ ნაწილში არჩევნები მხოლოდ მას შემდეგ ჩატარდება, როცა საოკუპაციო არმია იქიდან გავა, მოხდება ყველა უკანონო შეიარაღებული ფორმირების განიარაღება, საზღვარზე კონტროლი კი უკრაინას გადაეცემა.

– მინსკის შეთანხმებებში გარკვევით წერია, რომ არჩევნები ეუთოს სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს. ეუთოს სტანდარტები კი გვასწავლის, რომ თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი ქვეყნის მიერ თავისი ტერიტორიისა და საზღვრების კონტროლია, – განაცხადა ზელენსკიმ.

უკრაინის პრეზიდენტმა თქვა, რომ რუსეთი ცდილობდა, უკრაინისთვის მინსკის შეთანხმებების დარღვევაში დაედო ბრალი.

– გერმანიამ და საფრანგეთმა მხარი უკრაინას დაუჭირეს, – დასძინა ზელენსკიმ.

მიწისძვრა ჩრდილოეთ კაროლინაში



აშშ-ის ჩრდილოეთ კაროლინის შტატში მიწისძვრა დაფიქსირდა. ამერიკული მედიის ცნობით, ამ სიმძლავრის მიწისძვრა აქაურებს არ ახსოვთ.

ჩრდილოეთ კაროლინის ქალაქ სპარტას მიადგა მცირე ზარალი. მსხვერპლის თაობაზე ინფორმაცია არ არის.

ავღანეთი: დაკავებული თალიბების უკანასკნელი პარტია ციხიდან გაათავისუფლეს

ავღანეთის პრეზიდენტმა განიმ განაცხადა, რომ ციხიდან მოძრაობა თალიბანის წევრების უკანასკნელი ჯგუფი (400კაცი) გაათავისუფლეს.

პრეზიდენტმა ეს გადაწყვეტილება ლოია ჯირგასთან (საზოგადოებრივი ასამბლეა) კონსულტაციის შემდეგ მიიღო.

ახლა ავღანეთში მშვიდობის კონტურები გამოიკვეთა. თალიბანმა გააკეთა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ მზად არის, მთავრობასთან მშვიდობის დამყარების თაობაზე პირდაპირი დიალოგი დაიწყოს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

გიორგი სუხიტაშვილი სამსახურიდან გაუშვეს

მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი სამსახურიდან გაუშვეს.

ინფორმაცია ამის შესახებ მომღერალმა თავად გაავრცელა:

– ბოლო ვიზიტი მქონდა გადაცემა „პიკის საათის“ სტუდიაში. სამსახურის კომპიუტერში არსებული ჩემი მასალა გადავიტანე მეხსიერების ბარათზე და წამოვედი. კი, რა თქმა უნდა, მარტივი არ არის იმ ადგილის დატოვება, სადაც თითქმის 5 წელი ყოველდღიურად დადიხარ, ხსნი მიკროფონს და ამბობ „დილა მშვიდობისა“.

სამწუხაროდ, ყველაფერი ლამაზად არ სრულდება. მე სივი არ გამიგზავნია 2015 წელს საზოგადოებრივ მაუწყებელში და არც ვინმე ჩამირევია, სამსახური რომ დამეწყო. სამწუხაროდ, მხოლოდ ეთერის დასრულების შემდეგ გავიგე, რომ მომდევნო ეთერი აღარ მექნებოდა და მხოლოდ ასე უნდა გადავუხადო მადლობა მსმენელს, ვინც მისმენდა და იღებდა ჩემგან ინფორმაციას, ემოციას და განწყობას, ასევე ბოდიში მინდა მოვუხადო მათ იმისთვის, რომ ეთერიდან ვერ მოვეფერე და თუნდაც მადლობა ვერ გადავუხადე.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, სამართლებრივი დავა მაქვს მაუწყებელთან, თუ როგორ დასრულდება, ამასაც მოგვიანებით გაგაცნობთ.

აქვე გეტყვით იმასაც, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში ბევრი ძალიან კარგი და თავისი საქმის პროფესიონალი ადამიანი მუშაობს, რომლებიც მიყვარს და პატივს ვცემ. თუმცა აქ არის ერთი „მაგრამ“, თუ არ არის გზა, თუ არ არის იდეა, თუ არ არის ნება, აქ ბევრი თუა კიდევ, არაფერი არ გამოვა და სულ „ვიღაცის“ ან „ვიღაცების“ „ბრალი“ იქნება.

ნებისმიერ შემთხვევაში წარმატებებს ვუსურვებ „საზმაუს“, ასე ვუწოდებთ ხშირად და ვისურვებ ბევრად უკეთესს, ვიდრე დღეს ის არის.

განვიხილავ შემოთავაზებებს სხვა ამ ან მონათესავე სამსახურზე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯანო ანანიძე: „ფეხბურთი მენატრება“

რუსეთის პრემიერლიგა რამდენიმე დღის წინ დასრულდა, მაგრამ პანდემიით გამოწვეული პაუზის გამო მალევე განახლდა.

დღეს საქმეში ვოლგოგრადის როტორიც ჩაერთვება, რომელიც პირველი ლიგიდან 16-წლიანი პაუზის შემდეგ აღზევდა და დღეს სანკტ-პეტერბურგის ზენიტთან 3 ქართველით ითამაშებს. ესენი არიან ბექა მიქელთაძე, ნიკა ყიფიანი და ჯანო ანანიძე.

დიახ, ანანიძემ ბოლო მომენტში გააფორმა კონტრაქტი როტორთან. ბელარუსის ნაკრებთან უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ, ჩვენი ეროვნული გუნდის ყველა სავარაუდო კანდიდატის სათამაშო ფორმა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია...

– როგორ შეიტყვეთ კლუბის თქვენით დაინტერესების შესახებ?

– იმ მომენტში საქართველოში ვიყავი და ტელეფონით შევიტყვე. გადაწყვეტილება მაშინვე არ მიმიღია, ვფიქრობდი. კარიერის გასაგრძელებლად სხვა ვარიანტებიც მქონდა საქართველოდან და თურქეთიდან, მაგრამ მხოლოდ როტორმა გააკეთა ოფიციალური შეთავაზება. მოლაპარაკებები დაიწყო და რუსეთში დაბრუნება გადავწყვიტე. ეს ჩემპიონატი ჩემთვის ნაცნობია, რუსეთში გავიზარდე, როგორც ფეხბურთელი: აქ 15 წლიდან ვთამაშობდი და 11 წელი სპარტაკში ვიყავი. ახლა ჩემთვის ყველაფერი ნულიდან იწყება, ვფიქრობ, ტრავმებიც დასრულდა. მინდა ვითამაშო, ფორმაში შევიდე და იგივე დონეზე დავბრუნდე. ძალიან მიხარია ამ კლუბში ყოფნა.

– ოდესმე ვოლგოგრადში ყოფილხართ?

– არა, პირველად ვარ. როდესაც სპარტაკში ვთამაშობდი, როტორი პრემიერლიგაში არ იყო და არ მქონდა აქ ჩამოსვლის შანსი. ახლა შევძელი ქალაქში ცოტა გასეირნება, სუფთა და კარგია.

– ჩვენი გუნდის ფეხბურთელებს იცნობთ?

– ბექა მიქელთაძეს კარგად ვიცნობ, ვესაუბრე მას და გუშინ ვნახე კიდეც. თქვენს ინსტაგრამზე ვადევნებ ფოტოებს თვალს და არიან ნაცნობი სახეები, მაგრამ ყველას მაშინ გავიცნობ, როდესაც გუნდს შევუერთდები.

– უფრო ადვილია იმ გუნდში გადასვლა, სადაც ქართველი თამაშობს?

– დიახ. როდესაც სპარტაკში ვიყავი, კლუბმა გიორგი ჯიქია დაიმატა. მე მას შევხვდი და, რა თქმა უნდა, მისთვის ადაპტირება უფრო ადვილი იყო. იმედი მაქვს, მიქელთაძეც ყველაფერს ამიხსნის. ნიკა ყიფიანიც გუნდშია, მაგრამ პირადად არ ვიცნობ.

– როტორი პრემიერლიგაში დაბრუნდა, თქვენც დაბრუნდით. რა მიზნებს ისახავთ?

– ფეხბურთი ძალიან მენატრება! კვიპროსში ვიყავი, მაგრამ პანდემია დაიწყო და 3-4 თვის განმავლობაში ყველაფერი შეჩერდა. ველოდი ოფიციალურ შეთავაზებას, რომ რაც შეიძლება მალე დამეწყო ვარჯიში და თამაში, რადგან ფეხბურთი მენატრება. უფრო მეტიც, ოქტომბერში საქართველოს ბელარუსთან მნიშვნელოვანი თამაში ელოდება და მინდა სწრაფად აღვიდგინო ფორმა, რათა როტორსა და ეროვნულ ნაკრებს დავეხმარო.

– ახლა როგორ ფორმაში ხართ?

– ოპტიმალური ფორმის 30%-ზე. სახლში ვვარჯიშობდი, მაგრამ ეს არ არის იგივე, როგორც გუნდთან და მწვრთნელთან ერთად. ოპტიმალურ მდგომარეობაში შესვლას 2 კვირა სჭირდება, მაქსიმუმ – 3. იმედი მაქვს, გუნდიც დამეხმარება ამაში.

– სპარტაკი, რომელშიც კარიერის უმეტესი ნაწილი გაატარეთ, 90-იან წლებში როტორის მთავარი მეტოქე იყო. პრინციპული იქნება თქვენთვის ამ გუნდების დაპირისპირებები?

– პრინციპული ნამდვილად არ იქნება. სპარტაკი ლამაზად დავტოვე, ყველაფერი ურთიერთშეთანხმებით მოხდა. სპარტაკი უკვე წარსულია, მას ვერაფერს დავუმტკიცებ, მე როტორში მაქვს დასამტკიცებელი, რომ თამაშს ვიმსახურებ. იქ ბევრი მეგობარი მყავს, მსურს მათთან შეხვედრა, მაგრამ ფეხბურთში დასამტკიცებელი არაფერია.

– როსტოვთან თამაში ცალკე არ დგას? ამჟამად ამ გუნდს ვალერი კარპინი წვრთნის.

– არა, იქ ერთი სეზონი გავატარე 2013-14 წლებში, შემდეგ კი 6 თვე იჯარით სამარაში ვიყავი. ვალერი კარპინმა, როდესაც სპარტაკს ხელმძღვანელობდა, პირველ გუნდში დამაწინაურა, მასთან დასამტკიცებელი არაფერი მაქვს. ჩემთვის მთავარია საკუთარ თავს დავუმტკიცო, ფორმაში ვიყო, კარგად ვითამაშო და როტორს დავეხმარო მიზნის მიღწევაში.

ქართულ გუნდებს რუმინეთის, კვიპროსის და ისრაელის გუნდები შეხვდა

შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბბინაში, ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა გაიმართა.

ევროპალიგაზე სამი ქართული გუნდი ითამაშებს – ბათუმის „დინამო“, დედაქალაქური „საბურთალო“ და „ლოკომოტივი“. სამივე განუთესავი იყო, ამიტომ მეტოქეებიც საკმაოდ სოლიდური ამოუვიდა.

თბილისის „ლოკომოტივი“ შინ ითამაშებს და რუმინულ „უნივერსიტატიას“ დაუხვდება. კიდევ ერთი თბილისური გუნდი „საბურთალო“ კვიპროსს ესტუმრება და იქაურ „ლიმასოლთან“ გაარკვევს ურთიერთობას, ხოლო ბათუმის „დინამო“ ისრაელში „ჰაპოელ“ ბეერ-შავას ესტუმრება.

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი, რომელშიც ჯამში 94 ევროპული გუნდი გამოდის (მათგან 8 წინასწარი რაუნდის გამარჯვებული), 27 აგვისტოს ჩატარდება. კორონავირუსის პანდემიის გამო, შეცვლილია ფორმატი – დაპირისპირებები ერთმატჩიანი იქნება და უმაყურებლოდ გაიმართება.

ნიონშივე გაირკვა ჩემპიონთა ლიგის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამოსა“ და ალბანურ „ტირანას“ შორის გამარჯვებულის სავარაუდო მეტოქე. დიდი ალბათობით, ეს სერბული „ცრვენა ზვეზდა“ იქნება, რომლის მეტოქეც მოკრძალებული გიბრალტარული გუნდი „ევროპაა“.

არც ერთ ქართულ გუნდს წილისყრაში არ გაუმართლა. თუმცა, ეს უფრო საკუთარ თავსა და რეიტინგს უნდა დააბრალონ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

დინამოს მეტოქე და რევანშის შანსი

ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის დინამო ალბანეთის ჩემპიონ ტირანას შეხვდება. საკვალიფიკაციო ეტაპი ერთრაუნდიანია. მატჩი 18 ან 19 აგვისტოს თბილისში, „დინამო არენაზე“ გაიმართება.

მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპზე ამ წყვილს შორის გამარჯვებული სერბული ცრვენა ზვეზდასა და გიბრალტარულ ევროპას შორის გამარჯვებულს შეხვდება.

თუმცა, ახლა დავუბრუნდეთ ტირანას, რომელიც დინამოსთან მატჩამდე საუკუნის იუბილეს აღნიშნავს – გუნდი 1920 წლის 15 აგვისტოს არის დაარსებული. ეროვნულ ჩემპიონატში საშინაო მატჩებს „სელმან სტერმასი არენაზე“ (12.500 მაყურებელი) ატარებს, მაგრამ მნიშვნელოვან მატჩებს მართავს ქვეყნის მთავარ სტადიონზე – „ქემალ სტაფაზე“ (30.594) მართავს.

ალბანეთში ტირანა ყველაზე პოპულარული საფეხბურთო კლუბია. თუმცა, ბოლო დროს ჩავარდნაც ჰქონდა და ქვეყნის ჩემპიონი 11-წლიანი პაუზის შემდეგ გახდა.

გუნდის საუკეთესო ბომბარდირია ინგლისელი მაიკლ ნგოო, რომელმაც ბოლო სეზონში 13 გოლი გაიტანა. მის გარდა გუნდში არაერთი ლეგიონერია. მათგან შეტევის წინა ხაზში არგენტინელი აგუსტინ ტორასა და ბრაზილიელი ელტონ კალე გამოირჩევიან. ასევე, აღსანიშნავია ახალგაზრდა ალბანელი შემტევი ერნესტ მუჩი.

გუნდს 47 წლის ნიგერიელი მწვრთნელი ემანუელ ეგბო ხელმძღვანელობს, რომელიც ადრე მეკარე იყო.

თბილისის დინამო ტირანას ჩემპიონთა ლიგის 2003-04 წლების სეზონშიც შეხვდა. 2003 წლის 16 ივლისს პირველი მატჩი თბილისში დინამომ 3:0 მოიგო. ბურთები ლევან მელქაძემ, გიორგი ანჩაბაძემ და ვიტალი დარასელიამ გაიტანეს. თუმცა ერთი კვირის შემდეგ, საპასუხო მატჩში, რომელიც ტირანაში გაიმართა, იმავე ანგარიშით ალბანელებმა იმარჯვეს, მერე 11-მეტრიანების სერიაც მოიგეს (4:2) და საქართველოს მაშინდელი ჩემპიონი ტურნირიდან გამოთიშეს.

ამ შეხვედრაში გადამწყვეტი როლი ალბანელთა ახლანდელმა მთავარმა მწვრთნელმა ითამაშა – პენალტების

სერიაში სწორედ ის იდგა ტირანას კარში. ეგბო 1999-2002 წლებში ნიგერიის ნაკრების მეკარე იყო. ეროვნულ გუნდში მან 12 მატჩი ჩაატარა, მათ შორის, 2000 და 2002 წლების აფრიკის ერთა თასის გათამაშებაში.

ტირანამ ბოლო მატჩი ალბანეთის თასის ფინალში 2 აგვისტოს ჩაატარა და ტეუტასთან 0:2 დათმო.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ალბანელები წილისყრით გახარებულები არიან. დინამო მათთვის ყველაზე სასურველი მეტოქე იყო იმ ოთხეულიდან, ვისაც ტირანა უნდა შეხვედროდა.

კლუბის პრეზიდენტმა რეფიკ ჰალილმა კი ასეთი კომენტარი გააკეთა:

– თავს კარგად ვგრძნობ, შეიძლება ითქვას, მშვიდადაც კი. გაგვიმართლა. მიმაჩნია, რომ ეს ჩვენთვის იღბლიანი წილისყრა იყო, რადგან თბილისის დინამოს წინააღმდეგ ადრეც ვითამაშეთ და მოვიგეთ. ვიმედოვნებთ, რომ შემდგომ ეტაპზე დამაჯერებლად გავალთ. კვირის განმავლობაში 3 ახალწვეული გვეყოლება. ვუსურვებ ყველა მოთამაშეს, რომ ჯანმრთელად იყვნენ. საქართველოში მობილიზებულები ჩავალთ.

თავის მხრივ ოპტიმისტურად არის განწყობილი თბილისის დინამოს მთავარი მწვრთნელი კახა ჩხეტიანი:

– სულ ცოტა ხნის წინ შევიტყვეთ ჩვენი მეტოქის შესახებ და ამ დროში რა ინფორმაციის მოპოვებაც შევძელით, იქიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოცდილი და კარგი გუნდია. ჩვენთვის კარგად ნაცნობ კუკეშს 4 ქულით გაასწრეს.

გარდა ამისა, გამორჩეულები არიან იმითაც, რომ 7 ლეგიონერი ჰყავთ, მათ შორის, ინგლისელი, ბრაზილიელი და არგენტინელი. ტირანას არც ტრადიციები აკლია. ალბანეთის ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი კლუბია...

ალბანურ გუნდთან თამაშის და გამარჯვების გამოცდილება მაქვს. ცხადია, როცა ერთი კონკრეტული ქვეყნის გუნდს ეთამაშები, გარკვეული სურათი გექმნება, მაგრამ, რა თქმა უნდა, კუკეში და ტირანა სხვადასხვა სათამაშო სტილის გუნდები არიან...

ის, რაც ალბანეთის გუნდების წინააღმდეგ ვისწავლე, პირველ შეხვედრაში მოგების შემდეგაც არ უნდა გაჩერდე, რადგან ბრძოლისუნარიანები არიან და მე-2 მატჩში სცენარის სათავისოდ შემოტრიალება შეუძლიათ, რაც აქამდეც გაუკეთებიათ. თუმცა, ახლა ერთი მატჩია და ამ ერთ შეხვედრას მაქსიმალურად მომზადებულები უნდა შევხვდეთ, ჩვენ არა მარტო დინამოს და თბილისს, არამედ მთლიანად საქართველოს წარმოვადგენთ...

ცუდია, რომ გულშემატკივარი არ გვეყოლება, რადგან ის ფეხბურთში მთავარი ფიგურაა, ფეხბურთელისთვის დამატებითი მოტივაცია და ემოციის წყაროა. თუმცა, კარგია, რომ შინაურ კედლებში ვთამაშობთ, მგზავრობა და ახალ გარემოსთან ადაპტაცია არ დაგვჭირდება.

მანამდე, 12 აგვისტოს, თელავთან ეროვნული ლიგის მატჩი გვაქვს ჩასატარებელი, შემდეგ კი სრულად გადავეწყობით ტირანასთან მატჩისთვის, მეტოქეს კარგად შევისწავლით და მოედანზე იმ პასუხისმგებლობით გავალთ, რომელიც ქართველი გულშემატკივრის წინაშე გვაკისრია.

ბათუმელთა მარტივი გამარჯვება

ჩიხუა-დინამო (ბთ) 0:4

თბილისი. მიხეილ მესხი

0:1 ნიქაბაძე (3), 0:2 კობახიძე (28), 0:3, 0:4 ჯიღაური (42, 79)

ჩიხურა: ბეგაშვილი, მაჩაიძე, კაშია, ჯაფიაშვილი, ჯავაშვილი, ჩიკვაიძე, გვაზავა (ტეფნაძე 70), ნიქარიძე (დეკანოიძე 46), კიკაბიძე, ღავთაძე, ბუხაიძე

დინამო: ალავიძე, ნავალოვსკი, კობახიძე, ობოაბონა, ტეიდი, ჯიღაური, გონსალვესი (გაფრინდაშვილი 26), მანჯგალაძე, მამუჩაშვილი, ფლამარიონი (რეინალდო 52), ნიქაბაძე

ჩიხურამ მიხეილ მესხზე ბათუმის დინამო მიიღო და დიდი ანგარიშით დამარცხდა. ზღვისპირელები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უდიდეს უპირატესობას და მშვიდად აკონტროლებდნენ თამაშის მიმდინარეობას.

გია გეგუჩაძის გუნდმა ანგარიში მატჩის დებიუტშივე გიორგი ნიქაბაძის სადებიუტო გოლით გახსნა. პირველ ტაიმში ბათუმელებმა მეტოქის კარი კიდევ ორჯერ აიღეს. ამჯერად გატანილი გოლებით თავი მამუკა კობახიძემ და ჯამბულ ჯიღაურმა გამოიჩინეს. ჯიღაურმა ნიქაბაძის მშვენიერი პასის შემდეგ გაიტანა, რომელმაც საუკეთესო მატჩი ჩაატარა, რაც დინამოში გადავიდა.

შეხვედრის მე-2 ტაიმიც სტუმრების დიდი უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა გოლების რაოდენობით დინამო უფრო მოკრძალებული იყო. ერთადერთი გოლი 79-ე წუთზე ჯიღაურმა შეაგდო, დუბლი გაიფორმა და დაპირისპირებაში საბოლოო შედეგიც დაფიქსირა.

საკუჩინიო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	9	5	3	1	16:4	18
2.დინამო (ბთ)	9	4	5	0	16:5	17
3.დილა	8	4	4	0	14:5	16
4.საბურთალო	8	3	4	1	9:6	13
5.თელავი	9	2	6	1	9:6	12
6.ლოკომოტივი	8	2	3	3	10:14	9
7.ტორპედო	9	2	3	4	7:13	9
8.სამტრედია	8	2	2	4	6:14	8
9.ჩიხურა	9	1	2	6	7:16	5
10.მერანი	9	0	4	5	3:14	4

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

პირლოს გამო კონტე თავს მოხუცად მიიჩნევს

ანდრეა პირლოს იუვენტუსის მწვრთნელად დანიშვნას ლევერკუზენთან მატჩისწინა პრესკონფერენციაზე გამოეხმაურა მილანის ინტერის მთავარი მწვრთნელი ანტონიო კონტე, რომელიც პირლოს მწვრთნელი 3 წლის განმავლობაში იყო. მათ ერთმანეთთან ახლო ურთიერთობა დღემდე აქვთ.

კონტემ პირლოს დანიშვნა მიუღოცა:

– ანდრეას გამო ძალიან ბედნიერი ვარ. თუნდაც მხოლოდ იმის გამო, თუ რამდენი მომცა მან საფეხბურთო თვალსაზრისით. გარდა ამისა, ის განსაკუთრებული ადამიანია და მას დიდ პატივს ვცემ. როცა ვხედავ, რომ ჩემი ყოფილი მოთამაშეები მწვრთნელები ხდებიან, ეს თავს მოხუცად მაგრძნობინებს.

პირლოს არაერთხელ აქვს აღნიშნული, რომ კონტე მის კარიერაში საუკეთესო მწვრთნელია, რომელსაც მასზე დიდი გავლენა ჰქონდა და სწორედ მის გამო გადაწყვიტა მწვრთნელად გახდომა.

კონტეს გარდა, პირლოს დანიშვნას იტალიური საფეხბურთო სამყაროს სხვა წარმომადგენლებიც გამოეხმაურნენ. ჩირო ფერარამ, რომელიც იუვეს მწვრთნელად ასევე გამოცდილების გარეშე დაინიშნა და შუა სეზონშივე ცუდი შედეგების გამო გუნდიდან წასვლა მოუწია, პირლო გააფრთხილა, რომ ძალიან რთულია ყოფილ თანაგუნდელებთან მუშაობა და თავად ამ პრობლემას გადააწყდა.

ჯანფრანკო ძოლამ კი იუვეს მენეჯმენტის გადაწყვეტილებას სარისკო უწოდა და აღნიშნა, რომ ამ მასშტაბის გუნდში გამოცდილების გარეშე მუშაობა რთულია, თუმცა დაამატა, რომ პირლოს ხასიათის, ინტელექტის და პირადი თვისებების მქონე ფიგურა ამ გამოწვევას გაუმკლავდება.

ალესანდრო დელ პიერო:

– თავის დროზე ერთ ევროსაც კი არ დავდებდი, რომ პირლო გუნდს გაუძღვებოდა. შემდგომ შევიტყვე, რომ 23 წლამდე გუნდს ჩაუდგა სათავეში. ეს უდავოდ სწორი ნაბიჯი იყო. თუმცა, ახლა საქმე უფრო შორს წავიდა და მას ძირითადი გუნდი ჩააბარეს! მთელი გულით ვუსურვებ წარმატებას. ფეხბურთი ევოლუციას ყველა მიმართულებით განიცდის. თუ ადრე მწვრთნელებს მეტი დრო სჭირდებოდათ, შეხედეთ ახლა სიმონე ინძაგის და ჯენარო გატუზოს, რომლებმაც შედეგი პრაქტიკულად მომენტალურად დადეს.

შედეგები

9 აგვისტო

ფეხბურთი

იტალია. სერია ბ

ფლეი ოფი

ფროზინონე-პორდენონე 0:1

ჩესენი. ჩემპიონიერიგა

უფა-კრასნოდარი 0:3
არსენალი-ახმატი 0:0
სპარტაკი-სოჭი 2:2

ბელგია. ა დივიზიონი

სტ.ტრუიდენი-გენტი 2:1
ვარეგემი-გენკი 1:2
მეხელენი-ანდერლეხტი 2:2
კორტრაიკი-ბეგერენი 1:3

შოტლანდია. ჩემპიონიერიგა

რეინჯერსი-სტ.მირენი 3:0
კილმანროკი-სელტიკი 1:1

შვედეთი. ალსვენსკა

ფალკენბერგი-მალმიო 0:1
ჰაკენი-კალმარი 0:2
იორებრო-გიოტებორგი 1:1
მიალბი-აიკი 3:1
ესტერსტუნდი-ელფსბორგი 0:1
დიურგარდენი-ჰამარბი 1:2

ნორვეგია. ელიტსერია

კრისტიანსუნდი-სტარტი 3:2
მონდალენი-ჰაუგესუნდი 1:0
ალესუნდი-ვიკინგი 2:2
სტაბეკი-ოდ გრელანდი 0:1
სტრომგოდსეტი-სანდერფიორდი 3:4
რუსენბორგი-სარპსბორგი 5:1

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

როვანიემი-მარიეჰამნი 2:3
ინტერი-ჰაკა 2:0
კუუპიო-ჰიკი 0:3
ლახტი-ილვესი 3:2

მოამზადა მიხეილ ყორეყოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. კომპანია „ტესლას“ დამფუძნებელი; 2. ვეგეტატიური უსქესო გამრავლების გზით წარმოშობილი შთამომავალი; 3. საზეიმო წვეულება; 4. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 5. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 6. სხეულთა წონასწორობის შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 9. ორთქლის ან აირის სითხედ გადაქცევა; 10. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 11. ქონების პერიოდული აღწერა; 14. ლეო დელიბის ოპერა; 16. ცნობილი გერმანელი ფეხბურთის მსაჯი; 18. ქონების დაგირავებით აღებული სესხი; 20. თაბახის წიგნის ზომა; 23. ჩახურებული ფქვილი; 24. სამხრეთ კორეის დედაქალაქი; 25. სიყვარულის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 26. გნოლის, კაკბის, ხოხბის ბარტყი.

თარაზულად: 7. კუჭქვეშა ჯირკვალი; 8. დიდი ძეგლი; 12. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპ. ხვიჩიას მონაწილეობით; 13. ყოველდღიური გაზეთი თურქეთში; 15. ვაშლის ღვინო; 17. განმარტებითი ხასიათის შენიშვნა; 19. შაქრის წარმოების ცენტრი საქართველოში; 21. იტალიის პრემიერ-მინისტრი; 22. რადიაქტივობის საზომი ერთეული; 27. უმაღლესი მწვერვალი სამხრეთ ამერიკაში; 28. რაიმე დანიშნულების საგანთა სრული შემადგენლობა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დეკადანსი; 2. კონიაკი; 3. ბილბაო; 4. სალდო; 5. ანანდი; 11. პიკასო; 12. ლაგაზი; 16. რანჩერო; 17. ოჯალეში; 19. რემისია; 21. ჩორთი; 22. დიოდი.

თარაზულად: 6. ფელეტონი; 7. სტალინი; 8. დრონი; 9. იდილია; 10. ალეპო; 13. ასაკი; 15. ტრაფალგარი; 18. კობზარი; 20. ჯინი; 21. ჩიზელი; 23. კომპრომისი; 24. შუამთა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დოგმა; 2. სიამი; 3. ჰუდზონი; 4. კანა; 5. ჯუნო; 6. ინგლისი; 9. ჰიქტოგრაფია; 10. ესპანიოლი; 11. ზაპოროჟიე; 14. ბაფტა; 16. სიამი; 18. ნეფრიტი; 20. მიტინგი; 23. აუდი; 24. ფურია; 25. ჰაიტი; 26. ვანი.

თარაზულად: 7. ბუმერანგი; 8. ჭაბუკიანი; 12. ჩორსუ; 13. ბაქია; 15. ხოტბა; 17. ფონოგრამა; 19. ფიატი; 21. ეფელი; 22. აიეტი; 27. სტივიდორი; 28. ლიმნოლოგი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

11 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0758

ევრო — 3.6356

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0262

100 რუსული რუბლი — 4.1811

ამინდის პროგნოზი 11 აგვისტოსათვის

ანზორ ერქომაიშვილი პრეზიდენტმა ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა

სახელოვანი მუსიკოსი და ლოტბარი, კომპოზიტორი, მსოფლიოს სხვადასხვა არქივში მიმობნეული ქართული სიმღერების ჩანაწერების მომძიებელი და გამომცემელი, ანსამბლების „რუსთავისა“ და „მართვეს“ დამაარსებელი ანზორ ერქომაიშვილი 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა.

ღონისძიებას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ჩხენკელი დაესწრო და ანზორ ერქომაიშვილს საპატიო ჯილდოს მიღება პირადად მიულოცა.

ანზორ ერქომაიშვილს სახელმწიფო ჯილდო ქართული საგუნდო მუსიკის, ფოლკლორის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური, საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და ქვეყნის წინაშე აღმატებული ღვაწლისათვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აცანაში საზეიმოდ გადაეცა.

დაჯილდოების შემდეგ შეკრებილი სტუმრებისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის საზეიმო კონცერტი გაიმართა, რომელშიც ფოლკლორულმა ანსამბლებმა მიიღეს მონაწილეობა. „რუსთავმა“, „შავნაბადამ“, „მხედრებმა“, „მიქაბერიძეების ოჯახმა“, „ტრიო ხელხვავმა“ შეკრებილი საზოგადოებისთვის ქართული ხალხური სიმღერები შეასრულეს. გამომსვლელთა შორის იყვნენ ბავშვთა გუნდი და ექსპედიტორთა ჯგუფიც.

ანეკდოტი

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– იცი, როცა დავლევ, არავისი აღარ მეშინია!

– არც ცოლის?

– მაგდენი ჯერ არ დამილევია...

•••

კაცი ქალს ეკითხება:

– რატომ მეკითხები გაუთავებლად, თუ როდის ვიქორწინებ შენზე?

– მომწონს, როდესაც შენ თვალებში შიშს ვხედავ...

•••

სახლში დაბრუნებული ცოლი ქმარს ეკითხება:

– დაჭმუჭნული ათი დოლარი გინახია.

– კი.

– ასი დოლარი?

– მინახია.

– და ორმოცდათი ათასი დოლარი?

– არა.

– მაშინ ავტოფარეხში ჩადი და ჩვენი მანქანა ნახე!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– აბა, როგორ ჩაიარა ქორწილის პირველმა ღამემ?

– არ მახსოვს!

– რატომ?

– როგორც კი საწოლ ოთახში განმარტოვების შემდეგ ცოლმა ჯერ წამწამები მოიხსნა, მერე პარიკი, ბოლოს კი მაკიაჟი მოიშორა, უგონოდ დავეცი...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მეზღვაურებს უკაცრიელ კუნძულზე ქვიშაზე გაკეთებული წარწერით მიაგნეს

მიკრონეზიაში სამი მეზღვაური უკაცრიელ კუნძულზე მათ მიერ ქვიშაზე გაკეთებული უზარმაზარი წარწერის SOS წყალობით მიაგნეს. ამ ინფორმაციას ავსტრალიის თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

30 ივლისს მეზღვაურებმა ატოლი პულუვატი შვიდმეტრიანი ნავით დატოვეს. ისინი აპირებდნენ, ატოლ პულაპამდე 43 კილომეტრი გაეცურათ, მაგრამ კურსს ასცდნენ და მთელი საწვავი შემოეხარჯათ.

ადგილობრივმა მაშველებმა დასახმარებლად ავსტრალიას მიმართეს. საძიებო სამუშაოებში სადესანტო ხომალდი „კანბერა“ ჩაერთო. მეზღვაურების გაუჩინარებიდან მესამე დღეს სამხედროებმა კუნძულის სანაპიროზე წარწერა SOS შენიშნეს. დაკარგულები ატოლ პულუვატიდან 190 კილომეტრში იმყოფებოდნენ.

სამხედრო შვეულმფრენმა გზააბნეულ მოგზაურებს წყალი და საკვები მიუტანა. მაშველების თქმით, მეზღვაურები ჯანმრთელად არიან. უახლოეს ხანებში მათ კუნძულიდან მიკრონეზიის საპატრულო ხომალდი წამოიყვანს.

მაღაროელმა ძვირფასი ქვა იპოვა და გამილიონერდა



ტანზანიელმა მრავალშვილიანმა მაღაროელმა კიდევ ერთი ძვირფასი ქვა იპოვა და მულტიმილიონერი გახდა.

30 ბავშვის 52 წლის მამამ სანინიუ ლაიზერმა ქვეყნის ხელისუფლებას მსოფლიოში ორი ყველაზე მსხვილი ტანზანიტი მიჰყიდა. ხელისუფლებამ ძვირფასი ქვები 2,4 მილიონ ფუნტ სტერლინგად შეაფასა. ქვეყნის პრეზიდენტმა ჯონ მაგუფულიმ ლაიზერს ეს მოვლენა პირადად მიულოცა.

– ეს ადასტურებს, რომ ტანზანია მდიდარი ქვეყანაა, – აღნიშნა ქვეყნის ხელმძღვანელმა.

3 აგვისტოს მაღაროელმა მესამე ტანზანიტი გაყიდა, რომლის წონამ 6,3 კილოგრამი შეადგინა. ის ხელისუფლებამ 1,5 მილიონ ფუნტ სტერლინგად შეაფასა.

ლაიზერის თქმით, ის ფულის ნაწილს სკოლისა და სავაჭრო ცენტრის მშენებლობაზე დახარჯავს. მისი მტკიცებით, სიმდიდრე მისი ცხოვრების წესს ვერ შეცვლის და ის კვლავაც გააგრძელებს საკუთარ ოჯახზე, ორი ათასი ძროხისგან შემდგარ ნახირზე ზრუნვას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გია ყანჩელი 85 წლის გახდებოდა



კომპოზიტორი გია ყანჩელი 85 წლის გახდებოდა. მაესტროს იუბილესთან დაკავშირებით, მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა ცნობილმა ქართველმა მომღერლებმა მიიღეს და კომპოზიტორის უკვდავი ნაწარმოებები შეასრულეს.

გია ყანჩელი მისმა განუყრელმა მეგობარმა, რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა რობერტ სტურუამ გაიხსენა:

– გენიალურ კომპოზიტორს, გია ყანჩელს 85 წელი შეუსრულდებოდა. მან შექმნა მუსიკა, რომელიც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის. გია ყანჩელმა სამართლიანად დაიკავა ადგილი მსოფლიოს უდიდეს კომპოზიტორთა შორის.

განსაკუთრებულია ყანჩელის როლი რუსთაველის თეატრის აღორძინებაში. ყანჩელთან თანამშრომლობამ არნახული წარმატება მოუტანა ქართულ თეატრს მთელ მსოფლიოში. რომ არა გია ყანჩელის მუსიკა, ალბათ „კავკასიურ ცარცის წრეს“, „რიჩარდ III-ს“, „მეფე ლირს“, „მაკბეტს“, „მეთორმეტე ღამეს“, „ჰამლეტს“, „ლამარას“, „სტიქსს“ და სხვა, არ ექნებოდა ასეთი დიდი აღიარება.

ქართველი ხალხი არასდროს დაივიწყებს თავის სასიქადულო შვილს. გია ყანჩელის სახელი სამუდამოდ ჩაიწერა ქართული ხელოვნების ისტორიაში.

გიორგი კეკელიძემ ახალქალაქის სოფლებში ბიბლიოთეკები მოაწყო

ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ ახალქალაქის ოთხ სოფელში ხორენიაში, ალსატანში, გოკიოსა და ვარევანში ქართული ბიბლიოთეკები მოაწყო:

– არცთუ სასიამოვნო ამბების ფონზე ახალქალაქის ოთხ სოფელში – ხორენია, ალსატანი, გოკიო, ვარევანი – პატარა ქართული ბიბლიოთეკა მოვაწყვეთ. მალე სხვა ოთხ სოფელსაც ვესტუმრებით და ნოემბრის ბოლოს ამ რაიონის ყველა სოფლის სკოლაში ჩვენი კვალი იქნება. წიგნი კვალი.

ჩვენი მეგზური კვლავაც შესანიშნავი მექართულე და კარგი პროფესიონალი ტერეზა ჩივჩიანი გახლდათ.

ნიკა ქავთარაძე ჭორიკნებს და მატყუარებს მიმართავს



იუმორისტი ნიკა ქავთარაძე ჭორიკნებსა და მატყუარებს მიმართავს და მას საჯაროდ ამხელს:

1. ყველა, ვინც ვიღაცის ვიღაცისგან ყურმოკრული ტყუილს – ჭორს ავრცელებს, რომ რუსეთთან ომის დროს ხელისუფლება საქართველოდან გარბოდა, ავტომატურად არის ჩართული ამ ქვეყნის ფსკერისკენ ჩათრევაში.

2. ასეთ ხალხს შორის არიან მოტყუებულებიც და მიზანმიმართული ნაბიჭვრებიც.

3. არსებობს ოფიციალური ინფორმაცია, საზღვრების კვეთის შესახებ.

4. საქართველოს ისტორიის გაყალბება არის რუსეთის პოლიტიკა – უკვე 3 საუკუნეა.

5. თუნდაც სრული სიმართლე იყოს, ეს სიგიჟე – რას აკეთებს ეს ხელისუფლება, რომ რუსეთს გააჯმევინოს ჩვენი ტერიტორიებიდან – არაფერს!

რას აკეთებს ეს ხელისუფლება, რომ რუსეთს სულ უფრო მეტი ბერკეტი ჰქონდეს ოკუპირებული ტერიტორიები საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენოს – ყველაფერს!

6. რვა წელია ბიძინა ივანიშვილს „არ სჯერა“, რომ რუსეთს აქვს ინტერესი დაიპყროს მეზობელი ქვეყნების ტერიტორიები.

ხოდა, ეგებ შევეშვათ თავის გასულელებას, თორემ მთავრობა მართლა სულელად გვთვლის და შესაბამისადაც გვექცევა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

11 აგვისტოსათვის

ვერძი – ფინანსურ სფეროში დადებითი ცვლილებებია მოსალოდნელი, თუმცა გამორიცხული არ არის გაუთვალისწინებელი ხარჯებიც. **კურო** – წარმატებული დღეა. ბიზნესში გიმართლებთ. სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ. **ტყუპები** – აქტიურობა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **კირჩხიბი** – ძალებს გაუფრთხილდით. ენერგიის ფუჭად ხარჯვა რეკომენდებული არ არის. **ლომი** – ზედმეტი ხელგაშლილობა დაგაზარალებთ. სიამაყე საღად აზროვნებაში ხელს გიშლით. **ქალწული** – მოემზადეთ აქტიური მუშაობისათვის. იყავთ მობილიზებული და ინიციატივიანი. **სასწორი** – ნებისმიერ საქმეს თავს გაართმევთ, ოღონდ ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** – ღირსების გრძნობა შეინარჩუნეთ. საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. **მშვილდოსანი** – გაბედულება, სითამამე და ორგანიზებულობა დღის დევიზია. ემოციებს ნუ აჰყვებით. **თხის რქა** – დრო სწორად გაანაწილეთ. მთავარი საქმით დაიწყეთ. პირად ცხოვრებაში დაშვებული შეცდომა საჩქაროდ გამოასწორეთ. **მერწყული** – შესაძლოა, ახალი, თქვენთვის უცნობი საქმის კეთება მოგიხდეთ. საბოლოო შედეგი მხოლოდ თქვენს კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული. **თევზები** – სასიამოვნო ინფორმაცია თქვენს ცხოვრებაში ახალი ეტაპის დაწყებაზე მიანიშნებს. ნუ იჩხუბებთ ახლო ნათესავებთან.

გისუჩვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ზოგიერთი მოლუსკის ორგანიზმში წარმოქმნილი ძვირფასი ქვა; 2. ხელოვნურად გამომშრალი და ფხვნილად ქცეული ფეკალური მასისგან დამზადებული ორგანული სასუქი; 3. სპარსეთის ძველი დედაქალაქი; 4. ფრანგი ნევროპათოლოგი, ფსიქოთერაპიის ფუძემდებელი; 5. ყველაზე დიდი ქალაქი შოტლანდიაში; 11. მდინარე სვანეთში; 12. პორტუგალიური ღვინო; 14. ყველაზე დიდი ტბა იაპონიაში; 16. პოლიციის ქვედანაყოფი საქართველოში; 17. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 19. ქართველი კინორეჟისორი; 21. ჯეიმს ჯოისის რომანი; 22. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანი.

თარაზულად: 6. ყველისგულიანი ქართული ორცხობილა; 7. რაიონული ცენტრი კახეთში; 8. იაპონელი მოდელიორი; 9. ქართველი ასტრონომი, აკადემიკოსი; 10. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 13. ჯარების მართვის ორგანო; 15. საკუთარ ჯანმრთელობაში დაეჭვებით გამოწვეული ავადმყოფური შიში; 18. მუსლიმური რელიგიური დოგმების ფანატიკოსი მიმდევარი; 20. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 21. მაღალმთიანი სოფელი სვანეთში; 23. ქართველი მხატვარი; 24. მთიელ-გუდამაყრელთა მთავარი სალოცავი.

შეადგინა თ.ბოგინაშვილმა